

186 /
1971/2

საქართველოს
სსრ მთავრობის



საქართველოს სსრ მთავრობის
ღარგენიღებათა კრებუდი

№ 2

მარტი—აპრილი

1971 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1971 წ.

შ ი ნ ა ბ რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 20. სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
- 21. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 68 დადგენილების მე-15 პუნქტის და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 ივლისის № 455 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
- 22. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დადგენილებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ.
- 23. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 24. კოლხეთის დაბლობის დაქობებულ მიწებზე სამელიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათის შესრულების რიგითობისა და ხანგრძლივობის შესახებ.
- 25. საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეკლამის ციის წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.



26. მ. ზერგვიანის ბიუსტის დადგმის შესახებ.
27. ქ. თბილისში სამინისტროთა, უწყებთა, დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მუშაობის დაწყების დროის შესახებ.
28. „შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტის გამოსავლინებლად ახალი კონკურსის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 227 დადგენილებით დამტკიცებული დებულების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.
29. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
30. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.
31. ჩაიოტას შესასყიდი ფასის შესახებ.
32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
33. დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობაში შიგა და გარე ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
34. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამართველოს წესდების დამტკიცების შესახებ.
35. „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ექსპერტების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 და 1970 წლის 21 მაისის № 300 დადგენილებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
36. სსრ კავშირის სახალხო არტიტის ს. ა. ზაქარიაძის ხსოვნის უცდავეოფის შესახებ.
37. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაბების კომპლექსური ექსპერიმენტულ-სარეგულაციო მშენებლობის შესახებ.
38. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის შესახებ.
39. კოლმეურნეობათა შენობა-ნაგებობების გამოყენებაში არსებული დარღვევების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.
40. რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების აღმკვეთი საბჭოების აღმკვეთების სამართლებრივი მუშაობის ექსპერტის ღონისძიებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრიობის მობილიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიგავისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაღმენილაგები

20 სახალხო მუშრნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯო-
განების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ეკონომიური რეფორმის განხორციელების, საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა გაფართოების, სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის ამაღლების, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების პირობებში გაიზარდა სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მნიშვნელობა. სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში უფრო ფართოდ იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის განხორციელების დროს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კანონიერების დარღვევის თავიდან აცილებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერებისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გადაჭრით აღკვეთისათვის, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის.

ამასთან ერთად ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მთელ რიგ საწარმოებში, მშრომელთა დებუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში სათანადოდ ვერ აფასებენ სამართლებრივ მუშაობას და იგი არაადაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ირღვევა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინა, მაგრამ სამინისტროები და უწყებები ხშირად არ იღებენ სათანადო ზომებს დამრღვევთა წინააღმდეგ. სახელმწიფო და უწყებრივი არბიტრაჟის ორგანოები სრულად არ იყენებენ ქონებრივ სანქციებსა და სხვა ღონისძიებებს, რათა ზეგავლენა მოახდინონ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც დავალებებსა და ვალდებულებებს არ ასრულებენ.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების იურიდიული მუშაკები საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი ისეთ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, აგრეთვე ბრძოლის ორგანიზაცია დატაცებისა და მექრთამეობის, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, შრომის, აღმინისტრაციული და საბინაო კანონმდებლობის დარღვევების წინააღმდეგ.

სამინისტროებსა და უწყებებში დღემდე არ წარმოებს სათანადო მუშაობა სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაციისათვის.

„სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების, საზოგადოებრივ წარმოებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერებისა და სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს მიიღონ ზომები სამართლებრივი მუშაობის დონის ამაღლებისა და საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის, უფრო ფართოდ გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გეგმიან დავალებათა და სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ამ მიზნით განიხილონ სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახელმწიფოს კანონების მტკიცედ დაცვას, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო საქმიანობას, ხელშეკრულებათა როლის გაძლიერებას საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებაში, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის გაძლიერებას და არბიტრაჟის ორგანოების როლის ამაღლებას მეურნეობის გაძლიერების ახალ პირობებში.

საქართველოს სსრ პროკურატურამ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გააძლიერონ ზედამხედველობა და იმისადმი კონტროლი, რომ მტკიცედ იქნეს დაცული კანონიერება სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში.

2. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების იურიდიულ მუშაკთა ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში, სამართლებრივი საშუალებების აქტიურად გამოყენება სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად და ეკონომიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მოაწესრიგონ იურიდიული ქვედანაყოფების მუშაობა ცენტრალურ აპარატში, გაათავისუფლონ ისინი მათთვის შეუფერებელი ფუნქციების შესრულებისაგან; მიიღონ ზომები საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სათანადო იურიდიული მომსახურების უზრუნველსაყოფად, განამტკიცონ იურიდიული ქვედანაყოფები კვალიფიციური და ინიციატივიანი მუშაკებით.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ სამართლებრივი მუშაობა მშრომელთა დებუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში.

4. დაევალოთ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასკომს 1971 წლის განმავლობაში შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სამართლებრივი მომსახურების გაუმჯობესებას.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, რომელიც მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს სამართლებრივ მუშაობას სახალხო მეურნეობაში, გაეცნობა ამ მუშაობის მდგომარეობას სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, შეისწავლის და განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის დაყენების პრაქტიკას, მის ეფექტიანობას და სათანადო რეკომენდაციებს მისცემს მისი გაუმჯობესებისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ ზომები, რათა გააძლიერონ მუშაობა სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს 1971 წლის 1 სექტემბრამდე შეისწავლოს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება იურიდიულ კადრებზე და მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოთხოვნილება იურიდიულ მუშაკთა კადრებზე, დაევალოთ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების გეგმის პროექტის და წლიური გეგმების პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინონ სტუდენტთა მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იმის შესაბამისად, თუ რამდენი სჭირდებათ სახალხო მეურნეობის დარგებსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ამ პროფილის სპეციალისტები 1980 წლამდე;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების გეგმის პროექტში გაითვალისწინონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო-მეტერიალური ბაზის განვითარება სტუდენტთა კონტინენტის შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მოაწყო მუშაობა იურის-კონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის იმ წესისა და პირობების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა დახმარება გაუწიონ აღნიშნულ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაკომპლექტებას კვალიფიციური მასწავლებლებით.

უზრუნავლ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ სისტემატურად გააშუქოს სამეურნეო კანონმდებლობის საკითხები.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეკდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს გამომცემლობის 1972—1976 წლების გეგმაში, რომ შემდგომ გაფართოვდეს კრებულების, ცნობარებისა და სხვა იურიდიული ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე სამეურნეო და შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“:

— სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს დაევალა სამი თვის ვადაში შეიმუშაონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით პროექტი ზოგადი დებულებისა საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების იურიდიული განყოფილების, უფროსი იურისკონსულტის შესახებ და განსახილველად წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

— სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების, დარღვეული უფლებების უსწრაფესად აღდგენის უზრუნველყოფისა და სამეურნეო დავის გადაჭრაში საპრეტენზიო წესის მტკიცედ დაცვისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დაევალოს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ პროექტი დებულებისა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ პრეტენზიების წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ. ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა მოხდეს საპრეტენზიო ვადების უნიფიკაცია;

— იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან სამინისტროები, უწყებები, შრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და სხვა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო მოვალეთ:

ა) შეუდგეს, 1972 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემას იმ ანგარიშით, რომ 1972—1976 წლების განმავლობაში გამოიცეს კრებულის განაყოფები სახალხო მეურნეობის საკითხებზე;

ბ) სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეისწავლოს საკითხი, სსრ კავშირის კანონმდებლობის ცენტრალიზებული აღრიცხვის და კანონმდებლობით უზრუნველყოფის შესახებ სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების და ორგანიზაციების, ამასთან იმის მხედველობაში მიღებით, რომ გამოყენებული იქნას თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდები;

— დაწესებულა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა ან ნორმატიული ხასიათი აქვთ, უნდა გამოქვეყნდეს სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა ან მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა დადგენილებების გამოსაცემ კრებულებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალოს უზრუნველყონ ამ გამოცემების გავრცელება ღია ხელმოწერის გზით.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები აღნიშნული გამოცემებით;

— იმ მიზნით, რომ დროული და ფართო ინფორმაცია მიეწოდოს საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესახებ, რომლებიც სავალდებულოა სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის, საჭიროდაა მიჩნეული დაიწყოს 1972 წელს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ნორმატიული აქტების ბიულეტენის გამოცემა, რომელშიაც რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს ნორმატიული ხასიათის საფინანსო, საგეგმო და სხვა უწყებრივი აქტები.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დაევალოს მოამზადოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან, სსრ კავშირის შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან ერთად და წარუდგინოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს წინადადებანი ამ ბიულეტენის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს დაევალოს შეიმუშაონ

სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცონ იურისკონსულტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-პედაგოგიური პროგრამები.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
 ვ. შავეჩაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
 ვ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 მარტი, № 149

21 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 68 დადგენილების მე-15 პუნქტის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 ივლისის № 455 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 4 თებერვლის № 59 დადგენილებით დამტკიცებულია თურქულის ეპიზოტიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური სპეციალური კომისიის ახალი შემადგენლობა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 68 დადგენილების მე-15 პუნქტი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 ივლისის № 455 დადგენილება.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
 ვ. შავეჩაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
 ვ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 13 აპრილი, № 202

22 სპარტველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და სპარტველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დად-
გენილებაში ცვლილებების შეთანხმების შესახებ

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ოქტომბრის № 574 დადგენილების მე-2
პუნქტის მე-9 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აეკრძალოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს სოფლის მეურნეობის
პროდუქტების შესყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში, გარდა ახალი მწვანისა.
საზოგადოებრივი კვების საწარმოებს შეუძლიათ შეისყიდონ ნაღდ ანგარიშზე
ახალი მწვანილი (სტაკური, სალათა, მწვანე ხახვი, ისპანახი, კამა, თვის ბო-
ლოკი, აგრეთვე ნაკლებადგავრცელებული სპეციები) კოლმეურნეებისა და
კოლმეურნეობებისაგან, ბაზრებში შექმნილ ფასად და ფულადი სახსრების იმ
ლიმიტების ფარგლებში, რაც აღნიშნულ საწარმოებს დაუწესდათ ამ მიზნი-
სათვის.“

მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ცეკავშირის გამგეობას ნება
დაერთო, როგორც გამონაკლისი, გაყიდოს 1973 წლის 1 იანვრამდე საზოგადო-
ებრივი კვების საწარმოებში (რესტორანებში, მეორე კატეგორიის სასადილოე-
ბში, სასაუზმეებსა და საჩაიებებში) ფაქტიური ღირებულებით ხორცი და ხო-
რცის პროდუქტები, რომლებიც შეისყიდულია საკოლმეურნეო ბაზრებში შექ-
მნილ ფასად.

ცეკავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების
სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დაადგინოს საკოლმეურნეო ბაზრებში
შექმნილ ფასად შესასყიდი ხორცისა და ხორცპროდუქტების შესყიდვის წესი
და ფასნამატის ოდენობა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ოქტომბრის
№ 574 დადგენილების მე-2 პუნქტის მე-10 აბზაცი, რომელიც უფლებას ანი-
ჭებს სავაჭრო ორგანიზაციებს შეისყიდონ კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა
მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე მოსახლე-
ობისაგან პატისონი, ისპანახი, ოხრახუში, კამა, ნიახური, სალათა, ძირთეთრა და
სხვა ნაკლებად გავრცელებული ბოსტნეული მხარეთა მიერ დაწესებულ ფასად.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. მშაპანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაგანაშვილი.

23 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებაში „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის 3 და 4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაწესდეს, რომ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 იანვრის № 29 დადგენილებით გათვალისწინებული წესით ექსპერტიზის გავლის შემდეგ დაამტკიცებენ:

ა) 1-დან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისა — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ხოლო 1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა დამტკიცდება მათ მიერ დადგენილი წესით;

ბ) იმ ობიექტებისა, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სახსრების ხარჯზე შენდება და რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1 მილიონ მანეთამდეა — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, ხოლო რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1 მილიონიდან 1 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი;

გ) იმ ობიექტებისა, რომლებიც უნდა აშენდეს კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ხარჯზე, — დამტკიცდება იმ წესით, რასაც დაადგენენ შესაბამისი ცენტრალური კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა არ დაუშვან ობიექტების მშენებლობა მოქველებული პროექტებით და უზრუნველყონ საჭირო ცვლილებების დროზე შეტანა ამ პროექტებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

პროექტების ხელახლა დამტკიცება ამ პირობების დაცვით წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ახლად შემუშავებული პროექტების დასამტკიცებლად.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობები დაცული არ არის, ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებსა და საპროექტო მოცემულობებს ხელახლა დამტკიცებენ მშენებლობებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1-დან 2,5 მილიონ მანეთამდეა, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო ისეთი მშენებლობებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონ მანეთამდეა, იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელმაც პროექტი დამტკიცა.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. მუხამანაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 27 აპრილი, № 236

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

24 კოლხეთის დაბლობის დაფარვაზე მიწაზე სამელიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათის, შესრულების რიგითობისა და ხანგრძლივობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების წინადადება და დამტკიცდეს კოლხეთის დაბლობის დაქაობებულ მიწებზე სამელიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათი, შესრულების რიგითობა და ხანგრძლიობა დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 4 მარტი, № 127

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 4 მარტის № 127
დადგენილების დანართი

კოლხეთის დაბლობის დაქაობებულ მიწებზე სამელიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათი, რიგითობა და წარმოების ხანგრძლივობა

ძირითადი დებულებანი

I.

კოლხეთის დაბლობის დაქაობებულ მიწებზე სამელიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათი, მათი წარმოების რიგითობა და ხანგრძლივობა დაწესებულია იმ მიზნით, რომ ლიკვიდირებულ იქნეს დროის დაშორიშორება ამოშრობის სამუშაოთა დამთავრებასა და დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების დაწყებას შორის, აგრეთვე ხარისხობრივად გაუმჯობესდეს კოლხეთის დაბლობზე წარმოებული საინჟინერო-სამელიორაციო და კულტურტექნიკური სამუშაოები.

სამუშაოთა ხასიათის, მათი რიგითობისა და ხანგრძლივობის დაწესებისას გათვალისწინებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მითითებანი, რომლებიც შეეხება კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების სამუშაოთა გაუმჯობესებას.

სამეღიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათი, მათი წარმოების რიგითობა და ხანგრძლივობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს კოლხეთის მიწების დაშრობის პროექტების და კოლხეთის დაბლობის საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო გეგმების შემუშავების დროს, აგრეთვე კოლხეთის ზონაში დაშრობის ღონისძიებებისა და მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისების დაგეგმვის დროს.

სამეღიორაციო და კულტურტექნიკურ სამუშაოთა ხასიათი, მათი წარმოების რიგითობისა და ხანგრძლივობის დადგენისას გათვალისწინებულია მოქმედი ნორმები და წესები, კოლხეთის დაბლობის ჰავის, ნიადაგისა და სხვა ბუნებრივი პირობები.

გათვალისწინებულია აგრეთვე კოლხეთის დაშრობილ მიწებზე მდებარე მეურნეობების გამოცდილება და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის „საქსახწყალბროექტის“ ტრესტ „კოლხილმშენის“ და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი სადგურის რეკომენდაციები.

II.

1. სამეღიორაციო და კულტურტექნიკური სამუშაოები წარმოებს ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე შესრულდება საინჟინერო-სამეღიორაციო სამუშაოები და-საშრობი ფართობიდან ზედაპირული და ჰარბი წყლების არინების მიზნით.

მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია კულტურტექნიკური ხასიათის სამუშაოები, დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩათვლით.

2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემუშავდება ცალ-ცალკე სამუშაოთა პირველი და მეორე ეტაპებისათვის.

3. სასმელი წყლის მომარაგების მაგისტრალური წყალსატარების, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა ხორციელდება სპეციალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით, ცალკეული მასივების და-შრობისა და ათვისების სამუშაოებისაგან დამოუკიდებლად.

4. ცალკეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს დიდი მაგისტრალური არხების მშენებლობის, მდინარეებისა და წყალსადინარების რეგულირების, გზების მშენებლობის, დამშრობი სატუმბავი სადგურებისა და დიდი ჰიდროტექნიკური კვანძების მშენებლობის სამუშაოები.



5. მე-3 და 4 პუნქტებში ჩამოთვლილი სამუშაოები გათვალისწინებული უნდა იქნეს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების დამტკიცებული სქემით.

6. დაშრობის სამუშაოთა პირველი ეტაპის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი წლით, ხოლო მეორე ეტაპისა — 3 წლით.

მაგისტრალური წყალსადინარების, სასმელი წყალმომარაგების სისტემების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და მე-3 და 4 პუნქტებში გათვალისწინებული ცალკეული ნაგებობების მშენებლობის სამუშაოთა ხანგრძლივობა განისაზღვრება სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

სამუშაოთა ხასიათი

პირველი ეტაპი

განხორციელდება საინჟინერო-სამელიორაციო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზედაპირული წყლების არინებას დასაშრობი ფართობიდან და მის დაცვას აღიღებული წყლების მიერ დატბორვისა და წალეკვისაგან და შედგება შემდეგი სახეობის სამუშაოებისაგან:

არხებისა და საექსპლოატაციო გზების ზოლის გასწვრივ ტყისა და ბუჩქნარის მოჭრა-შეგროვება;

არსებული მდინარეებისა და წყალსადინარების რეგულირება და დამშრობი ქსელის მშენებლობა;

საექსპლოატაციო გზების მშენებლობა დამშრობი სისტემის მომსახურებისათვის.

შენიშვნა:

ა) სამუშაოთა პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მიმღები კომისია მიიღებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს.

მიმღები კომისია დაადგენს, რომ პირველი ეტაპის დაშრობითი სამუშაოები ჰექტარ ფართობზე დამთავრებულია მთლიანად;

ბ) დამშრობი და საგზაო ქსელი გადაეცემა საექსპლოატაციოდ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანოებს.

მეორე ეტაპი

განხორციელდება კულტურტექნიკური და სამელიორაციო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაშრობილი ფართობის მომზადებას სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის და შედგება შემდეგი სამუშაოებისაგან:

ტყისა და ბუჩქნარის მოჭრა-შეგროვება, ასათვისებელ ფართობზე უხეშო მოშანდაკების ჩათვლით, და სამეურნეობათაშორისო გზების ტრასებზე;

მიწის პირველადი დამუშავება;

— ღრმა გაფხვიერება მცენარეულის ჩამარხული დიდი ნარჩენების ამოღების მჭიდრო ორტმტეინული ჰორიზონტის დაშლისა და წყლის ჩადინების დაჩქარების მიზნით;

- ამოღებული ხეებისა და ძირკვების გატანა ტერიტორიიდან;
- პლანტაჟი 45-50 სანტ. სიღრმეზე და დაფარცხვა ორ კვალად;
- ნახევარსფერული კვლების მოწყობა;
- ნაკვეთების დაკვალვა;

— ხენა ნაზურგად და დაფარცხვა;
 კვლების პროფილირება და მოწყობა;
 თხრილების დაჭრა კვლებს შორის.
 სამეურნეობათაშორისო გზების მშენებლობა;
 შენიშვნა:

ა) იმ ნაკვეთებისათვის, სადაც კვლების მოწყობა საჭირო არ აღმოჩნდება, 1 პუნქტიდან გამოირიცხება უხეში მოშანდაკება და დამატება პირველადი ხენა და ვერტიკალური მოშანდაკება.

მთლიანად გამოირიცხება აგრეთვე მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი სამუშაოები და მათ ნაცვლად იწარმოებს ხენა და ორ კვალად ფარცხვა.

ბ) კატეგორიულად აკრძალულია ძირკვებისა და ტყის სხვა ნარჩენების თრევით გადაადგილება ასათვისებელ ფართობზე და მათი დაწყობა არხებისა და გზების ტრასების გასწვრივ;

გ) ტერიტორიის გათავისუფლება ტყისა და ბუჩქნარის ნარჩენებისაგან წარმოებს მათი დაწვისა და გამოზიდვის საშუალებით;

დ) ცალკეულ შემთხვევებში, სადაც კვლების მოწყობა საჭირო არ აღმოჩნდება რელიეფისა და ნიადაგის პირობების მიხედვით, მეორე ეტაპის სამუშაოთა ხანგრძლივობა შემცირდება ორ წლამდე;

ე) მეორე ეტაპის 1, 2 და 3 პუნქტებით გათვალისწინებული კულტურტექნიკური და აგრომელიორაციული სამუშაოები სრულდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის სრული შესაბამისობით;

ვ) სამუშაოთა მეორე ეტაპის დამთავრების შემდეგ წარმოებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის მიღება.

მიმღები კომისია დაადასტურებს, რომ დაშრობის მეორე ეტაპის სამუშაოები ჰექტარ ფართობზე დამთავრებულია მთლიანად და ფართობი მომზადებულია სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის;

ზ) შიდასამეურნეო დამშრობი ქსელი, აგრეთვე მეორე ეტაპის შესრულებულ სამუშაოთა მთელი კომპლექსი გადაეცემა მიწათმოსარგებლებებს ბალანსიდან ბალანსზე.

სამეურნეობათაშორისო გზების ქსელი გადაეცემა საქსპლოატაციოდ მელორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჰიბიაშვილი.**



25 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 558 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციები:

„შმაჩის საქალაქო და რაიონული ბიუროს მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“;

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მდივნების მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 286 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 9 მარტი, № 133

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 9 მარტის № 133
დადგენილებით

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ

თ ა შ ი 1

ზოგადი დებულებანი

1. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია გულისხმობს დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის აქტების ჩაწერას.

2. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 161 მუხლის შესაბამისად მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და რაიონულ ბიუროებში (განყოფილებებში), ხოლო სოფლად, მუშათა დაბებში და იმ ქალაქებში, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროები (განყოფილებები) არ არის, — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

3. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი საქალაქო და რაიონული ბიუროები (განყოფილებები) ახდენენ დაბადების, გარდაცვალების, დაქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის რეგისტრაციას, დაკარგული სააქტო ჩანაწერების აღდგენას, ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანას, მათ გაუქმებას, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნების შენახვას და განმეორებითი მოწმობების გაცემას.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომები, სადაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) არ არის, ახდენენ მხოლოდ დაბადების, დაქორწინების, მამობის დადგენის და გარდაცვალების რეგისტრაციას.

4. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის დროს წარდგენილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო ფაქტის დამამტკიცებელი და განმცხადებლის პიროვნების დამადასტურებელი საბუთები.

მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი საბუთებია:

ა) პასპორტი;

ბ) სოფლად — არაპასპორტიზებულ ადგილებში მცხოვრებ პირთათვის — დაბადების მოწმობა, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს





აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული პიროვნების ვინაობის დამადასტურებელი ცნობა;

გ) ოფიცრებისა და ზევადიან სამხედრო სამსახურში მყოფ პირთათვის — პირადობის მოწმობა;

დ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფ პირთათვის სამხედრო ბილეთი;

ე) უცხოელთათვის, — ნაციონალური პასპორტი და უცხოელის ბინადრობის მოწმობა. ან მარტო ნაციონალური პასპორტი, თუ მათთვის მასში ნებადართულია სსრკ ფარგლებში ცხოვრება;

ვ) მოქალაქეობის არმქონე პირთათვის — ბინადრობის მოწმობა მოქალაქეობის არმქონე პირთათვის;

5. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 165 მუხლის შესაბამისად მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნში შეტანილი ყოველი ჩანაწერი უნდა წაეკითხოს განმცხადებელს და მისი, აგრეთვე აქტის ჩამწერი თანამდებობის პირის ხელისმოწერის შემდეგ დამოწმდეს ბეჭდის დასმით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის შესახებ განმცხადებელს მიეცემა სათანადო მოწმობა.

6. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს თანამშრომელს არა აქვს უფლება, რომ მოახდინოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაცია თავისი, თავისი მეუღლის, შშობლის ან შვილების მიმართ.

7. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების უარი ჩანაწერის შესწორებისა ან შეცვლის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში.

8. დაბადებისა და გარდაცვალების სრული და დროული რეგისტრაციის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო სოფლად და დაბებში — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

9. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში დაბადების, გარდაცვალების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის რეგისტრაცია, აგრეთვე ამ აქტების რეგისტრაციის შესახებ პირველადი მოწმობების გაცემა და მამობის დადგენასთან დაკავშირებით დაბადების ჩანაწერის აქტში შესწორებათა და ცვლილებათა შეტანა ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელად.

დაქორწინების, განქორწინების, სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის რეგისტრაციისათვის, ხოლო სათანადო შემთხვევაში განქორწინების მოწმობის გაცემის, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ განმეორებითი მოწმობების გაცემისა და სააქტო ჩანაწერების აღდგენისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთებით.

თ ა ვ ი II

დაბადების რეგისტრაცია

დაბადების რეგისტრაციის წესი და ვადები

10. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 168 მუხლის შესაბამისად დაბადების რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დაბადების ადგილის ან მშობლების, ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

11. თუ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია წარმოებს მშობლების (მშობლის) საცხოვრებელი ადგილისა და არა დაბადების ადგილის მიხედვით, მაშინ ჩანაწერის მე-6 გრაფაში — „დაბადების ადგილი“ — უნდა იქნეს მითითებული მშობელთა (მშობლის) საცხოვრებელი ადგილი.

12. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერი ორგანოები უზრუნველყოფენ დაბადების აქტის რეგისტრაციას საზეიმო ვითარებაში, ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით.

დაბადების აქტების საზეიმო ვითარებაში რეგისტრაციისათვის გამოყოფილ უნდა იქნეს კეთილმოწყობილი შენობა, რომ ბავშვებისა და მშობლებისათვის შეიქმნას მაქსიმალურად საზეიმო და მოხერხებული ვითარება.

დაბადების საზეიმო რეგისტრაცია შეიძლება ჩატარდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშობელთა სამუშაო ადგილიდან, სასწავლებლის წარმომადგენლების, აგრეთვე მშობელთა ნათესავების და ნაცნობების დასწრებით.

13. განცხადება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ კეთდება სიტყვიერი ან წერილობითი სახით, მშობელთა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ, ხოლო მათი ავადმყოფობის, გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო თუ არ შეუძლიათ განცხადების შეტანა, — განცხადება შეაქვთ ნათესავებს, ან სხვა პირთ, აგრეთვე იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ბავშვის დედამ იმშობიარა.

14. ნაპოვნი ბავშვის, რომლის მშობლები უცნობია, დაბადების რეგისტრაცია წარმოებს პოვნიდან სამი დღე-ღამის განმავლობაში. განცხადებას ბავშვის პოვნის შესახებ აკეთებს ის პირი, ვისთანაც ბავშვი იმყოფება, იმ დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც ბავშვია მოთავსებული, ან შინაგან საქმეთა ორგანო. განცხადებას უნდა ერთვოდეს ქალაქის (რაიონის) მილიციის განყოფილების აქტი, ოქმი, ცნობა, რომელშიც უნდა აღინიშნოს, როდის, სად და რა ვითარებაშია ნაპოვნი ბავშვი, აგრეთვე სამედიცინო ცნობა ბავშვის ასაკის შესახებ.

ნაპოვნი ბავშვის სახელი, მამის სახელი და გვარი დაბადების სააქტო ჩანაწერში ეძლევა მეურვეობისა და მხრუნველობის ორგანოს, საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის, შინაგან საქმეთა ორგანოს ან იმ პირის მითითებით, რომელმაც ბავშვი აღსაზრდელად აიყვანა.

დაბადების ჩანაწერში მშობლების შესახებ მონაცემები არ შეივსება, ხოლო 22-ე გრაფაში „აღნიშვნებისათვის“ მიეთითება „ბავშვი ნაპოვნია, მშობლები უცნობია“, აგრეთვე საბავშვო დაწესებულების მისამართი და იმ პირის სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი, ვინც ბავშვი წაიყვანა აღსაზრდელად.

15. თუ ბავშვი მკვდარი დაიბადა, მაშინ განცხადების გაკეთება მკვდარშობილზე მმჩის ბიუროში ევალება იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც იწვა დედა მშობიარობის დროს, ან უბნის ექიმს, თუ მშობიარობა მოხდა ბინაზე.

მკვდარდშობილი ბავშვი უნდა იქნას რეგისტრირებული დაბადების სააქტო წიგნში, სადაც კეთდება აღნიშვნა „მკვდარდშობილი“.

16. თუ ბავშვი დაბადების შემდეგ მალე გარდაიცვალა (რამდენიმე წუთიც თუ იცოცხლა), დგება ორი სააქტო ჩანაწერი: ცალკე — დაბადებაზე და ცალკე — გარდაცვალებაზე. გაიცემა მხოლოდ გარდაცვალების მოწმობა.

ამ აქტების რეგისტრაციის შესახებ განცხადება ევალება იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც დედა იწვა მშობიარობის დროს, ან უბნის ექიმს, თუ მშობიარობა მოხდა ბინაზე.

17. ტყულების დაბადების რეგისტრაცია ხდება ცალ-ცალკე. თითოეულ ბავშვზე დგება ცალკე ჩანაწერი და გაიცემა დაბადების ცალკე მოწმობა.

18. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 170 მუხლის შესაბამისად განცხადება დაბადების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს დაბადებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო მკვდარი ბავშვის დაბადების შემთხვევაში — არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა მისი შობის მომენტიდან.

19. სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან ყოველთვიურად არა უგვიანეს 10 რიცხვისა გადააგზავნონ ბავშვის მშობელთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმჩის ორგანოში საკონტროლო სიები იმ ახალშობილთა შესახებ, რომლებიც დაიბადნენ ამ დაწესებულებებში.

დაბადების რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთები

20. დაბადების რეგისტრაციის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:

ა) დაბადების ფაქტისა და დროის დამადასტურებელი ცნობა სამშობიარო სახლიდან (საავადმყოფოდან), თუ მშობიარობა მოხდა ბინაზე, მაშინ იმ ექიმის ცნობა, რომელმაც აღმოუჩინა დახმარება ქალს მშობიარობის დროს.

თუ დაიბადა მკვდარი ბავშვი, საექიმო მოწმობა მკვდარდშობილის შესახებ; თუ ბავშვი გარდაიცვალა სამშობიარო სახლიდან დედის გამოწერამდე — ცნობა დაბადების შესახებ და საექიმო მოწმობა ბავშვის გარდაცვალებაზე.

ბ) მშობელთა (მშობლის) პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

გ) მშობელთა ქორწინების ან მამობის დადგენის მოწმობა;

ბავშვის სახელის, მამის სახელისა და გვარის ჩაწერა

21. ბავშვის სახელი ერქმევა მშობლების ან მათი კანონიერი შემცველი პირების სურვილით.

22. მამის სახელი მიეკუთვნება მამის სახელის მიხედვით.

23. ბავშვი იწერება მშობლების გვარზე, თუ მშობლები სხვადასხვა გვარს ატარებენ, მაშინ, მათი თანხმობით ბავშვი ერთ-ერთი მშობლის გვარზე იწერება, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შთითებით.



მშობლების ჩაწერა დაბადების სააქტო ჩანაწერში

24. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი დედა და მამა დაბადების აქტების სარეგისტრაციო წიგნებში ბავშვის მშობლებად ჩაიწერებიან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით.

25. თუ ბავშვის მშობლები არ არიან რეგისტრირებულ ქორწინებაში, ჩანაწერი დედის შესახებ კეთდება დედის განცხადებით, ხოლო მამისა — დედისა და მამის ერთობლივი განცხადებით, ან მამა ჩაწერება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

დედის გარდაცვალების, ან მისი საცხოვრებელი ადგილის დაუდგენლობის შემთხვევაში, ჩანაწერი მამის შესახებ კეთდება მამობის დადგენის მოწმობის საფუძველზე, მამის განცხადებით.

იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელიც თავს ბავშვის მამად ცნობდა, ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ კეთდება მამობის დადგენის მოწმობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

26. იმ ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს, რომლის დედაც არ არის ქორწინების რეგისტრაციაში და არ აქვს მამობის დადგენის მოწმობა, დაბადების აქტების სარეგისტრაციო წიგნში ჩანაწერი მამის შესახებ კეთდება დედის გვარის მიხედვით, ხოლო სახელი, მამის სახელი და ეროვნება მამისა, იწერება დედის მითითებით.

ამ ინსტრუქციის 25 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მონაცემები მამის შესახებ შეიტანება მამობის დადგენის სააქტო ჩანაწერის საფუძველზე.

27. თუ ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ შეტანილ იქნა განცხადება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ, დაბადების რეგისტრაცია წარმოებს მამის ბიუროში (განყოფილებაში) დაბადების შესახებ აღდგენილი აქტების სარეგისტრაციო წიგნში, საერთო წესის საფუძველზე, როგორც პირველადი რეგისტრაცია, მაგრამ დაბადების სააქტო ჩანაწერში რიგითი ნომრის შემდეგ მიეწერება სიტყვები: „ვადის გაშვებით რეგისტრაცია“.

28. თუ ბავშვი იმ პირის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა, რომელიც ახალშობილის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა, დაბადების სააქტო ჩანაწერისა და დაბადების მოწმობაში გარდაცვალებული შეიძლება ჩაიწეროს ბავშვის მამად იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალების დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს 10 თვისა.

29. იმ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია, რომელიც ჩასახული იყო მშობელთა ქორწინებაში ყოფნის დროს, მაგრამ დაიბადა მათი განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგ, ხდება საერთო საფუძველზე, თუ განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის დღიდან ბავშვის დაბადებამდე გავიდა არა უმეტეს 10 თვისა.

დაბადების სააქტო ჩანაწერების 22-ე გრაფაში — „აღნიშვნებისათვის“ — მიეთითება როდის და სად არის რეგისტრირებული განქორწინება, ან როდის და რომელი სასამართლოს გადაწყვეტილებით არის ქორწინება ცნობილი ბათილად.



ახალშობილი ბავშვის ჩაწერა მშობლების პირადობის დამადასტურებელ საბუთებში

30. დაბადების რეგისტრაციის შემდეგ მშობლების პასპორტებში (სამხედრო მსახურთა პირადობის დამადასტურებელ საბუთსა და სამხედრო ბილეთში) შეიტანება მშობელთა მონაცემები ბავშვის დაბადების მოწმობის სერიის, ნომერისა და გაცემის თარიღის აღნიშვნით.

ცნობები იმ ბავშვთა შესახებ, რომლებიც დაბადებული არიან საბჭოთა მოქალაქეებთან უცხოელების ან მოქალაქეობის არმქონე პირთა ქორწინების შედეგად, აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს იმ მშობლის პასპორტში, რომელიც საბჭოთა მოქალაქეა.

თ ა ვ ი III

გარდაცვალების რეგისტრაცია

გარდაცვალების რეგისტრაციის წესი და ვადები

31. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 174 მუხლის შესაბამისად გარდაცვალების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში გარდაცვალების ადგილის ან გარდაცვალებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გარდაცვალების რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით გარდაცვალების ფაქტის დადგენის ან პირის გარდაცვალებულად გამოცხადების შემთხვევაში, ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

32. განცხადება გარდაცვალების შესახებ შეიძლება გაკეთდეს სიტყვიერად და წერილობით, გარდაცვალებულის ნათესავების, მეზობლების, საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციათა მუშაკების, აგრეთვე სხვა პირებისა და იმ დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, სადაც პირი გარდაიცვალა.

33. განცხადება გარდაცვალების შესახებ უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს 3 დღისა გარდაცვალების ან გვამის აღმოჩენის მომენტიდან.

34. გარდაცვალების ფაქტი უნდა დადასტურდეს ქვემოჩამოთვლილი ერთ-ერთი საბუთით:

ა) გარდაცვალების შესახებ სამედიცინო მოწმობით ან საფერწლო ცნობით;

ბ) ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლით, ან ამონაწერით გადაწყვეტილებიდან გარდაცვალების ფაქტის დადგენის ან გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ.

აღნიშნული ერთ-ერთი საბუთი დაერთვის გარდაცვალების აქტის მეორე ეგზემპლარს, მასზე აღინიშნება გარდაცვალების აქტის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

35. თუ გარდაცვალების რეგისტრაციის დროს ცნობილი გახდება, რომ მზრუნველობის გარეშე დარჩნენ გარდაცვალებულის არასრულწლოვანი შვი-

ლები, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო მოვალეობავე დღეს აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გარდაცვალების რეგისტრაციის განსაკუთრებული შემთხვევები

36. ერთ წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვალებულ და სასამართლოს მიერ გარდაცვალებულად გამოცხადებულ პირთა გარდაცვალების რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურად განკუთვნილ სარეგისტრაციო წიგნში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) გარდაცვალებულის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

37. თუ სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის გარდაცვალების დრო, მაშინ გარდაცვალების თარიღად ჩაიწერება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი.

თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია პიროვნების გარდაცვალების ფაქტი განსაზღვრულ დროში, მაშინ გადაწყვეტილებაში მითითებულ გარდაცვალების დრო ჩაიწერება გარდაცვალების სააქტო ჩანაწერში.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, გარდაცვალების სააქტო ჩანაწერის მე-12 გრაფაში ჩაიწერება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და გადაწყვეტილების გამომტანის თარიღი.

38. უცნობი (გამოუცნობი) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის დროს, სააქტო ჩანაწერში შეიტანება მხოლოდ რეგისტრაციისათვის საჭირო ის ცნობები, რომლებიც მოცემულია სამედიცინო დაწესებულების დასკვნაში.

თუ მომავალში გარდაცვალებული ამოცნობილი იქნება, გარდაცვალების სააქტო ჩანაწერში გამოტოვებული ცნობები შეიტანება საგამომძიებლო ორგანოების დასკვნის საფუძველზე.

39. სამხედრო მსახურთა გარდაცვალების რეგისტრაცია მშვიდობიან პერიოდში წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში საერთო საფუძველზე.

40. გზად მიმავალთა (მატარებლით, გემით, თვითმფრინავით და ა. შ.) გარდაცვალების რეგისტრაცია შეიძლება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ უახლოეს ორგანოში.

41. ექსპედიციაში, პოლარულ სადგურებსა და იმ ადგილებში გარდაცვალებულთა რეგისტრაცია, სადაც არ არის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები, წარმოებს ამ პირთა ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

42. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა გარდაცვალების რეგისტრაცია წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) გარდაცვალებულის ყოფილი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში, თავი-



სუფლების აღკვეთის ადგილის ადგილსამყოფელის მიხედვით, თავისუფლები აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის შეტყობინების საფუძველზე.

გარდაცვალების ჩანაწერის შევსების დროს მე-8 გრაფაში («გარდაცვალების მიზეზი») იწერება გარდაცვალების ის მიზეზი, რაც მთითებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის შეტყობინებაში, თუ ხსენებულ პირთა გარდაცვალების რეგისტრაცია არ მოხდა თავის დროზე, მაშინ გარდაცვალების რეგისტრაცია წარმოებს ერთ წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვალებულთა ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვალებულად ცნობილ პირთა სარეგისტრაციო წიგნში.

გარდაცვალებულთა პირადობის საბუთების შესახებ

43. თუ გარდაცვალებულს ჰქონდა პასპორტი ან სამხედრო ბილეთი, იგი წარმოდგენილი უნდა იქნეს გარდაცვალების აქტის რეგისტრაციის დროს, რომელსაც პირველ ვვერდზე უნდა გაუკეთდეს აღნიშვნა: „პასპორტის (სამხედრო ბილეთის) მფლობელი გარდაიცვალა 19 . . წ., „ გარდაცვალების აქტი №“.

გარდაცვალების აქტის მე-15 გრაფაში აღინიშნება პასპორტის (სამხედრო ბილეთის) ჩაბარების შესახებ.

44. გარდაცვალების რეგისტრაციის დროს ჩაბარებულ პასპორტებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აბარებს თვეში ერთხელ სიით მშრომელთა დეპუტატების იმ რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებას, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა გარდაცვალების აქტის რეგისტრაცია.

სამხედრო ბილეთი ხუთი დღის განმავლობაში გადაეცემა იმ რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატს, სადაც გარდაცვალებული იყოფებოდა აღრიცხვაზე.

45. უცხოელთა გარდაცვალების რეგისტრაციის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს უცხოელის ნაციონალური პასპორტი და ბინადრობის მოწმობა, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირთა გარდაცვალების რეგისტრაციის დროს ბინადრობის მოწმობა, რომლებიც გარდაცვალების მოწმობასთან ერთად გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებას.

46. პასპორტის, ნაციონალური პასპორტის, ბინადრობის მოწმობის და სამხედრო ბილეთის ჩაუბარებლობა არ აფერხებს გარდაცვალების აქტის რეგისტრაციას.

პასპორტის, ნაციონალური პასპორტის და ბინადრობის მოწმობის ჩაუბარებლობის შესახებ უნდა ეცნობოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებას, ხოლო სამხედრო ბილეთის ჩაუბარებლობის შესახებ რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარიატს.

თ ა ვ ი V

ქორწინების რეგისტრაციის
ქორწინების რეგისტრაციის წესი და ვადები

ქორწინების რეგისტრაციის წესი და ვადები

47. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 177 მუხლის შეაბამისად ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოში ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ან მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

48. ქორწინების რეგისტრაციის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები აწარმოებენ საზეიმო ვითარებაში დასაქორწინებელ პირთა თანხმობით.

ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარების უზრუნველსაყოფად გამოიყოფა კეთილმოწყობილი ბინა.

49. ავადმყოფობის შემთხვევაში დასაქორწინებელ პირთა თხოვნით და მკურნალი ექიმის ნებართვით დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია ბინაზე ან საშკურნალო დაწესებულებაში.

50. თუ დასაქორწინებელი ერთ-ერთი პირი პატიმრობაშია და მას ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად ჰყავს შვილი, ქორწინების აქტის რეგისტრაციას ახდენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის ნებართვით.

51. განცხადებას დაქორწინების შესახებ დასაქორწინებელი პირები შეიტანენ ამ ინსტრუქციის 47-ე პუნქტით გათვალისწინებულ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ერთ-ერთ ორგანოში.

განცხადებაში მათ უნდა დაადასტურონ, რომ არ არსებობს ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებანი, გათვალისწინებული საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-18 მუხლით, ამასთან მიუთითონ თუ მერამდენე ქორწინებაში შედიან და რამდენი ბავშვი ჰყავთ.

დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად დასაქორწინებელმა პირებმა უნდა წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

52. განცხადების მიმღები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო ვალდებულია გააცნოს დასაქორწინებელ პირებს ქორწინების რეგისტრაციის პირობები და წესი; დარწმუნდეს, რომ ისინი გაცნობილი არიან ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახურ მდგომარეობას, და ასევე განუმარტოს დასაქორწინებელ პირებს მათი, როგორც მომავალი მეუღლეებისა და მშობლების, უფლება-მოვალეობანი და გააფრთხილოს ისინი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დამალვას.

53. დაქორწინების შესახებ განცხადების მიღების შემდეგ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო დასაქორწინებელ პირებთან შეთანხმებით ნიშნავს ქორწინების რეგისტრაციის დღეს და საათს და განცხადებაზე აკეთებს შესაბამის აღნიშვნას, ამავე დროს არკვევს, სურთ თუ არა დასაქორწინებელ პირებს ქორწინების რეგისტრაციის საზეიმო ვითარებაში ჩატარება.

54. ქორწინების შესახებ განცხადება გატარდება ქორწინების განცხადებათა აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალში, დასაქორწინებელ პირთა გვარების, განცხა-

დების მიღების და დაქორწინების რეგისტრაციისათვის დანიშნული თარიღების სითითებით.

55. ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს დასაქორწინებელ პირთა, მოწმეების, ნათესავებისა და ნაცნობების თანდასწრებით.

ქორწინების სააქტო ჩანაწერის მე-13 გრაფაში ჩაიწერება ორი მოწმის სახელი, მამის სახელი და გვარი, რასაც მოწმეები დაადასტურებენ თავიანთი ხელისმოწერით.

56. დაქორწინება ფორმდება ერთი თვის გავლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დასაქორწინებელი პირები განცხადებას შეიტანენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში.

გამონაკლის შემთხვევაში, დასაქორწინებელ პირთა თხოვნით შესაძლებელია ამ ვადის შემცირება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

ქორწინების რეგისტრაციის პირობები

57. დაქორწინებისათვის საჭიროა:

- ა) ორივე მხარის თანხმობა;
- ბ) საქორწინო ასაკი.

საქორწინო ასაკი დაწესებულია 18 წლიდან

გამონაკლის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ შეამცირონ საქორწინო ასაკი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით.

58. დაქორწინება არ დაიშვება:

- ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ქორწინებაშია;
- ბ) პირდაპირ აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესაებს შორის, ღვიძლ და არა ღვიძლ ძმებსა და დებს შორის;
- გ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;
- დ) იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად.

59. თუ ქორწინების რეგისტრაციამდე ვინმესგან შემოვიდა განცხადება ქორწინების რეგისტრაციისათვის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოს მიერ განცხადება მიჩნეულ იქნა ყურადსაღებად, თანამდებობის პირი, რომელიც ქორწინების აქტის რეგისტრაციას აწარმოებს, ვალდებულია შეაჩეროს ქორწინების რეგისტრაცია და მოითხოვოს განმცხადებლისაგან სათანადო დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა.

დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა უნდა მოხდეს ერთი თვის განმავლობაში, იმ დღიდან, როცა შევიდა განცხადება ქორწინებისათვის დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ. საჭირო შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აწარმოებს აუცილებელი შეკითხვების დაგზავნას — ამ განცხადებაში აღნიშნულ დამაბრკოლებელ გარემოებათა რეალობის შემოწმებას.



მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერმა ორგანომ დასაქორწინებელი პირები უნდა გააფრთხილოს ქორწინების რეგისტრაციის დღის გადადების შესახებ და გააცნოს მათ შემოსული განცხადება ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების თაობაზე.

თუ წარმოდგენილი იქნება ქორწინების რეგისტრაციისათვის დამაბრკოლებელ გარემოებათა დამამტკიცებელი საბუთები, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო დასაქორწინებელ პირებს წერილობით აცნობებს უარს ქორწინების რეგისტრაციაზე, ხოლო თუ ასეთი საბუთები არ იქნა წარმოდგენილი, მაშინ ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს საერთო საფუძველზე.

60. თუ შემდგომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოსათვის ვახდება ცნობილი, რომ იმ პირებმა, რომელნიც დაქორწინდნენ, დაშალეს ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოებანი, ან წინასწარ თავიანთ შესახებ მიაწოდეს ყალბი ცნობები, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო აცნობებს ამის შესახებ რაიონის (ქალაქის) პროკურორს, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად და ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე საქმის აღსაძვრელად.

61. იმ პირებს, რომლებიც ადრე იმყოფებოდნენ ქორწინებაში, ახლად დაქორწინება შეუძლიათ ადრინდელი ქორწინების შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ (განქორწინების ან ვარდაცვალების მოწმობა).

თუ დასაქორწინებელ უცხოელის პირადობის დამადასტურებელ საბუთში არ არის მითითებული მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს იმ სახელმწიფოს კომპენტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, რომლის მოქალაქეა (ქვეშევრდომია) დასაქორწინებელი პირი.

ცნობაში აღნიშნულ უნდა იყოს, რომ დასაქორწინებელი პირი არ იმყოფება ქორწინებაში.

ქორწინების რეგისტრაციის განსაკუთრებული შემთხვევები

62. იმ პირებს, რომლებიც ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში იყვნენ, — „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემაზე, შეუძლიათ გააფრთხიონ თავიანთი ქორწინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში (განყოფილებაში) საქორწინო ურთიერთობის აღმოცენების დროის ჩვენებით.

საქორწინო ურთიერთობის აღმოცენების დრო იწერება ქორწინების სააქტო ჩანაწერის მე-15 გრაფაში დასაქორწინებელ პირთა სიტყვიერი განცხადების საფუძველზე.

63. იმ შემთხვევაში, როცა ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის გაფორმება შეუძლებელია ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების, ან უგზოუკვლოდ დაკარგვის გამო, მეორე მხარეს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სახალხო სასამართლოს 1944 წლის 8 ივლისამდე ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის დადგენის თაობაზე. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აფორმებს ასეთ ქორწინებას, ქორწინების სააქტო ჩანაწერის მე-15 გრაფაში მითითებულ უნდა იქნეს ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა საქორწინო ურთიერთობის ფაქტი.

64. საქორწინო ასაკშემცირებული პირის ქორწინება წარმოებს საერთო საფუძველზე.

ამ შემთხვევაში ქორწინების სააქტო ჩანაწერის მე-15 გრაფაში („აღნიშვნისათვის“) აღინიშნება: „მშრომელთა დებუტატების _____ რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის 19 წ. „ _____ № _____ გადაწყვეტილებით მოქ. _____“
შეუშვირდა საქორწინო ასაკი _____ წლით“.

ქორწინების შემდეგ მეუღლეთა გვარი

65. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად დაქორწინების დროს მეუღლენი თავიანთი სურვილებისამებრ აირჩევენ ერთ-ერთი მეუღლის გვარს თავიანთ საერთო გვარად, ან თითოეული მათგანი დაიტოვებს თავის ქორწინებამდელ გვარს, ან თავის გვარს შეუერთებს მეორე მეუღლის გვარს. გვარის შეერთება არ დაიშვება, თუ ორივე მათგანი ან ერთ-ერთი ატარებს ორმაგ გვარს.

ქორწინების რეგისტრაციის აღნიშვნა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში

66. დაქორწინებულ პირთა საბუთებში ისმება ქორწინების რეგისტრაციის შტამპი, სადაც აღინიშნება მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი და დაბადების წელი, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი და დრო.

ქორწინების რეგისტრაციის შტამპი დაისმება:

- ა) პასპორტში გვერდზე „განსაკუთრებული აღნიშვნები“;
- ბ) დაბადების მოწმობაში — მეოთხე გვერდზე;
- გ) ოფიცრებისა და ზევადიან სამხედრო სამსახურში მყოფთა პირადობის მოწმობებში — უკანასკნელ სუფთა გვერდზე.
- დ) ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფთა სამხედრო ბილეთებში — განყოფნი — „განსაკუთრებული აღნიშვნები“.

67. იმ პირის პასპორტის პირველ გვერდზე, რომელმაც ქორწინების რეგის-



ტრაციის დროს მიიღო მეუღლის გვარი, კეთდება აღნიშვნა: „გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით პასპორტი უნდა შეიცვალოს ქორწინების რეგისტრაციიდან 10 დღის განმავლობაში“.

თ ა ვ

ბანქორწინების რეგისტრაცია

ბანქორწინების რეგისტრაციის ადგილი და წესი

68. შესაბამისად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 181-ე მუხლისა, განქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

69. განქორწინების რეგისტრაცია ხდება:

- ა) განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ბ) იმ მეუღლეთა ურთიერთ თანხმობის საფუძველზე, რომელთაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები;
- გ) ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე იმ პირთან, რომელიც კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად, და იმ პირთან, რომელსაც სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ 3 წლისა.

განქორწინების რეგისტრაცია სასამართლოს

გადაწყვეტილების საფუძველზე

70. ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) როგორც ორივე, ისე ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში, ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) განქორწინების რეგისტრაციის დღიდან, მეორე მეუღლეს განქორწინების მოწმობის მიღებამდე არა აქვს უფლება მოახდინოს ახალი ქორწინების რეგისტრაცია.

71. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების შესახებ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ ანდა მისი ამონაწერი;

ბ) ქვითარი სასამართლოს მიერ დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ, თუ განქორწინების რეგისტრაციის მსურველ განმცხადებელ მეუღლეს სასამართლოს მიერ ჰქონდა ასეთი დაკისრებული.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადების შემტანმა მეუღლემ გადაიხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი, ან განთავისუფლებულია ამ ბაჟის

გადახდისაგან, განქორწინების რეგისტრაცია ხდება განურჩევლად იმისა, მეორე მეუღლეს გადახდილი აქვს თუ არა სახელმწიფო ბაჟი.

72. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანისას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) ამოწმებს, ხომ არ არის აღრე მეორე მეუღლის მიერ ამ მმარის ბიუროში რეგისტრირებული განქორწინება.

თუ განქორწინება უკვე რეგისტრირებულია მეორე მეუღლის მიერ, განქორწინების სააქტო ჩანაწერი შეივსება გამოტოვებული მონაცემებით, რის შესახებაც ეცნობება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების არქივს, სადაც ინახება განქორწინების აქტის მეორე ეგზემპლარი, ხოლო განმცხადებელ მეუღლეს მმარის ბიურო (განყოფილება) მისცემს განქორწინების მოწმობას განქორწინების რეგისტრაციის იმ თარიღის აღნიშვნით, რაც პირველ მეუღლეს ჩაუწერეს.

თუ განქორწინების რეგისტრაცია ხდება მმარის ბიუროში (განყოფილებაში) დაქორწინების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მაშინ ქორწინების აქტს გაუკეთდება სათანადო აღნიშვნა, განქორწინების შესახებ შეტყობინება ქორწინების აქტზე აღნიშვნის გასაკეთებლად გაიგზავნება იმ არქივში, სადაც ინახება ქორწინების აქტის მეორე ეგზემპლარი.

თუ ქორწინების სააქტო ჩანაწერი ინახება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სხვა ბიუროში (განყოფილებაში), მაშინ შეტყობინება განქორწინების რეგისტრაციის შესახებ ქორწინების აქტზე აღნიშვნისათვის გაიგზავნება მმარის იმ ბიუროში (განყოფილებაში), სადაც ჩანაწერი ინახება.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება), სადაც ინახება ქორწინების სააქტო ჩანაწერი, განქორწინების რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების საფუძველზე აკეთებს აღნიშვნას ქორწინების აქტის პირველ ეგზემპლარზე და შეტყობინებას სათანადო აღნიშვნისათვის გადაუგზავნის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოების იმ არქივს, სადაც ინახება ქორწინების სააქტო ჩანაწერის მეორე ეგზემპლარი.

განქორწინების რეგისტრაცია მეუღლეთა ურთიერთთანხმობით

73. მეუღლეებს, რომელთაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები ურთიერთთანხმობით განქორწინების რეგისტრაციის დროს, განცხადება შეაქვთ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას განქორწინების შესახებ უნდა დაერთოს ქორწინების მოწმობა.

74. განქორწინების რეგისტრაცია და განქორწინების მოწმობის გაცემა წარმოებს განცხადების შეტანის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ.

განქორწინების რეგისტრაციის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვეთარი განქორწინების რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟის 50 მანეთის გადახდის შესახებ.



75. განცხადების მიღების შემდეგ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) ნიშნავს განქორწინების რეგისტრაციის დღესა და საათს და განცხადებას ატარებს განქორწინების განცხადებათა წიგნში.

76. განქორწინების აქტის რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, სამხედრო სამსახური, სხვადასხვა ადგილზე ცხოვრება), თუ წარმოდგენილი იქნება სათანადო წესით დამოწმებული ამ მეუღლის თანხმობა განქორწინების რეგისტრაციასზე.

იმ მეუღლის განცხადებაზე ხელის მოწერა, რომელიც საპატიო მიზეზით არ ესწრება განქორწინების აქტის რეგისტრაციას, დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო ორგანოს, სამხედრო ნაწილის მეთაურის, სამკურნალო დაწესებულებების ადმინისტრაციის, ინვალიდთა სახლის, გემის კაპიტნის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის მიერ.

**ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების
რეგისტრაცია უკვალოდ დაკარგულთან, არაქმედუნა-
რიანთან და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთან**

77. განქორწინების რეგისტრაცია უკვალოდ დაკარგულთან, სულით ავადმყოფობის ან გონებასუსტობის გამო არაქმედუნარიანთან და არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთან ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში (განყოფილებაში) მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მეორე მეუღლის უკვალოდ დაკარგულად ან სულით ავადმყოფობის ან გონებასუსტობის გამო არაქმედუნარიანად ცნობის შესახებ, ან სასამართლოს განაჩენის ასლი, ან ამონაწერი განაჩენიდან იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლის ვადით.

განმცხადებელმა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს უნდა აცნობოს არაქმედუნარიანი მეუღლის მეურვის მისამართი ან მსჯავრდებული მეუღლის ადგილსამყოფელი.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) მიღებულ განცხადებაზე განქორწინების რეგისტრაციის შესახებ აცნობებს არაქმედუნარიან მეუღლის მეურვეს ან პატიმრობაში მყოფ მეუღლეს და ადგენს, ხომ არ არსებობს დევა ბავშვებზე, მეუღლეთა საერთო თანასაკუთარ ქონების გაყოფასა და შრომისუუნარო მეუღლისათვის, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, ალიმენტის გადახდის თაობაზე.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო ყველა შემთხვევაში განსაზღვრავს მათგან პასუხის მიღების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) მიიღებს ცნობას დავის არარსებობის შესახებ, ანდა დანიშნულ ვადაში არ მიიღებს პასუხს, ახდენს განქორწინების აქტის რეგისტრაციას.

განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეთა გვარი

78. თუ მეუღლეს განქორწინების შემდეგ სურს ატაროს ქორწინებამდელი გვარი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს განქორწინების რეგისტრაციის დროს, სხვა შემთხვევაში გვარის გამოცვლა ხდება კანონით დადგენილი წესით.

მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება აღინიშნება ჩანაწერში განქორწინების შესახებ.

განქორწინების აღნიშვნა მეუღლეთა საბუთებში

79. განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა განქორწინების მოწმობა და მეუღლეების პასპორტებში ან მათ შემცველ სხვა საბუთებში წარმოებს ჩაწერა (დაისმის შტამპი) იმის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ რომელ ორგანოში მოხდა განქორწინება, ვისთან და როდის.

თუ განქორწინების რეგისტრაცია მოხდა ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად, მაშინ ადგილზე არმყოფ მეუღლის პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში განქორწინებაზე ჩანაწერს (შტამპის დასმას) აკეთებს მისი საცხოვრებელი ადგილის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო, განქორწინების მოწმობის გადაცემის დროს.

თ ა შ ი VI

შვილად აყვანის რეგისტრაცია

80. შვილად აყვანის რეგისტრაცია, ნაშვილებთა დაბადების ჩანაწერში ცვლილებათა შეტანა, შვილად აყვანის სარეგისტრაციო წიგნების და სხვა მასალების შენახვა, რაც დაკავშირებულია შვილად აყვანასთან, წარმოებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად მშვილებელის თანხმობის გარეშე, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე, აკრძალულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც გაირკვევა, რომ მშვილებელი შვილობილის ღვიძლი მშობელი არ არის.

ის პირი, რომელიც გაამკლავნებს შვილად აყვანის საიდუმლოებას მშვილებელის ნების გარეშე, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

შვილად აყვანის რეგისტრაციის პირობები და წესი

81. შვილად აყვანა დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების მიმართ.



შვილად აყვანის რეგისტრაცია ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ პირის განცხადებით, რომელსაც სურს იშვილოს ბავშვი, ან შეურევობის და მზრუნველობის ორგანოს შეტყობინებებით.

შვილად აყვანა აუცილებლად რეგისტრირებულ უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში (განყოფილებაში) შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად, ახდენს შვილად აყვანის აქტის ჩასაწერ წიგნში შვილად აყვანის რეგისტრაციას და ვასცემს შვილად აყვანის მოწმობას.

82. შვილად აყვანის რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ შვილად აყვანილის დაბადების რეგისტრაციისა ან მისი დაბადების დაკარგული ჩანაწერის აღდგენის შემდეგ.

83. იმ შემთხვევაში, როცა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ნაშვილების დაბადების სააქტო ჩანაწერში იცვლება სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, ან მშვილებელნი იწერებიან ნაშვილების მშობლებად, დაბადების სააქტო ჩანაწერის პირველ ეგზემპლარში ხდება სათანადო ცვლილებათა შეტანა და გაიცემა დაბადების ახალი მოწმობა, ხოლო მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების იმ არქივში, სადაც ინახება დაბადების სააქტო ჩანაწერის მეორე ეგზემპლარი, გაიგზავნება შეტყობინება მასში სათანადო ცვლილებათა შესატანად.

თუ ნაშვილების დაბადების სააქტო ჩანაწერი ინახება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სხვა ბიუროში (განყოფილებაში), მაშინ შეტყობინება ნაშვილების დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებათა შეტანის შესახებ უნდა გადაიგზავნოს მამის იმ ბიუროში (განყოფილებაში), სადაც ინახება დაბადების სააქტო ჩანაწერის პირველი ეგზემპლარი. ხსენებული ბიურო შეიტანს ცვლილებებს შვილად აყვანილის დაბადების სააქტო ჩანაწერში და გადაუგზავნის დაბადების ახალ მოწმობას იმ ბიუროს, ვინც გამოუგზავნა შეტყობინება, ხოლო შეტყობინების დაბადების ჩანაწერის მეორე ეგზემპლარში ცვლილებათა შეტანის შესახებ, გადაუგზავნის მამის ორგანოების იმ არქივს, სადაც ინახება შვილად აყვანილის დაბადების ჩანაწერის ეს ეგზემპლარი.

იმ შემთხვევაში, როცა შვილად აყვანასთან დაკავშირებით ნაშვილების დაბადების სააქტო ჩანაწერში შეტანილი იქნება ცვლილებანი და გაიცემა დაბადების ახალი მოწმობა, აღრე ვაცემული დაბადების მოწმობა უნდა გაუქმდეს.

84. თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შვილად აყვანის შესახებ შეიცვალა შვილად აყვანილის დაბადების ადგილი და ეს ვერ უზრუნველყოფს შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვას, მაშინ, მშვილებელთა თხოვნით დასაშვებია შედგეს შვილად ასაყვანის დაბადების ახალი აქტი აღმასკომის გადაწყვეტილე-

ბაში ნაჩვენებ დაბადების ადგილის მიხედვით რაიონის, ქალაქის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში).

აქტის ჩაწერა მოხდება დაბადების ადგილი აქტების სარეგისტრაციო წიგნში. დაბადების სააქტო ჩანაწერის მე-16 გრაფაში მითითებულ უნდა იქნეს დაბადების პირველადი ჩანაწერის ადგილი, ნომერი და თარიღი.

დაბადების ახალი ჩანაწერის შედგენის შესახებ უნდა ეცნობოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ იმ ორგანოებს, სადაც ინახება შვილობილის დაბადების სააქტო ჩანაწერების ორივე ეგზემპლარი. ასეთ შემთხვევაში შვილობილის დაბადების პირველადი ჩანაწერი უნდა გაუქმდეს სათანადო აღნიშვნით.

85. შვილად აყვანის გაუქმება ან ბათილად ცნობა შეიძლება მოხდეს სასამართლო წესით.

შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიურო (განყოფილება), რომელმაც მოახდინა შვილად აყვანის აქტის რეგისტრაცია, აუქმებს შვილად აყვანის აქტს, ხოლო გაუქმების შემთხვევაში შვილად აყვანის სააქტო ჩანაწერზე აკეთებს შენიშვნას შვილად აყვანის გაუქმების შესახებ. ორივე შემთხვევაში აღსდგება პირვანდელი (შვილად აყვანამდე) მონაცემები.

შვილად აყვანისა და დაბადების მოწმობები, რომლებიც მიეცა მშვილებელს მამის ორგანოების მიერ, ჩამოერთმევა მას და გაუქმდება.

თ ა ვ ი VII

მამობის დადგენის რეგისტრაცია

86. საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 190 მუხლის შესაბამისად, მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის ან მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

87. მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მშობლების ერთობლივი განცხადების, ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო დედის გარდაცვალების ან მისი საცხოვრებელი ადგილის დაუდგენლობის შემთხვევაში — მამის განცხადებით.

88. თუ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია მოხდა მამობის დადგენის რეგისტრაციამდე, მაშინ მშობელთა ერთობლივ განცხადებას მამობის დადგენის შესახებ, უნდა დაერთოს ბავშვის დაბადების მოწმობა.

89. იმ შემთხვევაში, როცა მამობის დადგენის შესახებ განცხადების შეტანა ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაციაში გატარებამდე, დაბადების და მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია ხდება ერთდროულად.

90. მამობის დადგენის განცხადებას სრულყოფიანი შვილის მიმართ უნდა დაერთოს შვილის წერილობითი თანხმობა, რომელშიც აკრთვევ მითითე-

ბული უნდა იქნეს სურს თუ არა მას მიიღოს მამის გვარი, თუ დაიტოვოს ძველი გვარი. თანხმობა მამობის დადგენაზე აღინიშნება მამობის დადგენის აქტის მე-19 გრაფაში.

91. თუ ერთ-ერთ მშობელს საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია პირადად გამოცხადდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის განცხადებაზე მისი ხელის მოწერა დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო ორგანოს, სამხედრო ნაწილის მეთაურის, აამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციის, ინვალიდთა სახლის, გემის კაპიტნის და თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის მიერ.

92. მამობის დადგენის რეგისტრაცია ხდება მამობის დადგენის აქტების სარეგისტრაციო წიგნში.

93. მამობის დადგენის აქტის ჩაწერის საფუძველზე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო შეიტანს სათანადო ცვლილებებს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში, გასცემს დაბადების ახალ მოწმობას და შეტყობინებას დაბადების ჩანაწერში ცვლილებათა შეტანის შესახებ მამობის დადგენის აქტის შესაბამისად გადაგზავნის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების იმ არქივში, სადაც ინახება დაბადების სააქტო ჩანაწერის მეორე ეგზემპლარი. ადრე გაცემული დაბადების მოწმობა უქმდება.

თუ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერი ინახება სხვა ადგილას, მაშინ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო, სადაც მოხდა მამობის დადგენის აქტის რეგისტრაცია, შეტყობინებას დაბადების სააქტო ჩანაწერში მამობის დადგენის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გადაუგზავნის იმ ორგანოს, სადაც ინახება დაბადების ჩანაწერის პირველი ეგზემპლარი.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანო მიიღებს რა შეტყობინებას დაბადების ჩანაწერში ცვლილებების შეტანის შესახებ, გააკეთებს სათანადო აღნიშვნებს დაბადების ჩანაწერის პირველ ეგზემპლარში, გადაგზავნის დაბადების ახალ მოწმობას განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში და შეტყობინებას დაბადების ჩანაწერის მეორე ეგზემპლარში ანალოგიური ცვლილებების შესატანად გადაუგზავნის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს იმ არქივში, სადაც ინახება ეს ჩანაწერი.

94. თუ მშობლები ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ ბავშვის დაბადების შემდეგ და დედამ მიიღო მეუღლის გვარი, მაშინ მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის დროს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში იცვლება დედის გვარიც.

თ ა ზ ი VIII

სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლა

95. სსრ კავშირის მოქალაქეთა სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის რეგისტრაცია ხდება სრულწლოვანების მიღწევიდან, მოქალაქეობრივი

მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დადგენილი წესით გაცემული ნებართვის საფუძველზე.

სახელის, მამის სახელის და გვარის გამოცვლის წესი

96. მოტივირებული განცხადება სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის შესახებ, გამოცვლის მიზეზის ჩვენებით, შეტანილ უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს:

- ა) დაწვრილებითი ავტობიოგრაფია;
- ბ) განმცხადებლის და მისი არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (თუ მას შვილები ჰყავს);
- გ) ქორწინების მოწმობა (თუ პირი დაქორწინებულია);
- დ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (სასწავლებლიდან);
- ე) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
- ვ) პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

97. განცხადების მიღების დროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) ამოწმებს მასში აღნიშნული ცნობების სისწორეს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელ საბუთებთან შეჯერებით, ამავე დროს განმცხადებელს აფრთხილებს ყალბი ცნობების მოწოდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, საქართველოს სსრ სსკ 223 მუხლის თანახმად.

სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის განცხადება ტარდება სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის განცხადებათა აღრიცხვის წიგნში, რის შემდეგაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) გამოითხოვს განმცხადებლის და მის არასრულწლოვანი შვილების დაბადების სააქტო ჩანაწერების ასლებს და თუ დაქორწინებულია, — ქორწინების სააქტო ჩანაწერის ასლს.

თუ განმცხადებლის ან მისი არასრულწლოვანი შვილების დაბადების სააქტო ჩანაწერები არ აღმოჩნდა სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლა მოხდება მხოლოდ მათი დაბადების სააქტო ჩანაწერების აღდგენის შემდეგ.

98. სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის შესახებ განცხადების მიმღები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) მილიციის ორგანოების საშუალებით აწარმოებს განცხადებაში მოცემული ცნობების შემოწმებას.

შეკრებილი მასალების შემოწმების შემდეგ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) აღდგენს მოტივირებულ დასკვნას და ყველა მასალასთან ერთად წარუდგენს განსახილველად მშრომელთა დებუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

99. სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის შესახებ ნებართვის მიცემას ან უარს მათს გამოცვლაზე, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) აცნობებს განმცხადებელს, რომელიც ერთი თვის ვადაში უნდა გამოცხადდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში (განყოფილებაში) სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის რეგისტრაციისათვის.

საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში აქტის ჩამწერა მოხდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, თუ ამ ხნის განმავლობაში არ წარმოიშვა სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო (განყოფილება) სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის ნებართვის საფუძველზე აწარმოებს სათანადო აქტის რეგისტრაციას, გაცემს სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის მოწმობას, შეიტანს სათანადო ცვლილებებს განმცხადებლისა და მისი არასრულწლოვანი შვილების მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების პირველ ეგზემპლარში და შეტყობინებას მეორე ეგზემპლარში ანალოგიური ცვლილებების შესატანად გადაუგზავნის მმჩის არქივს.

თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები, რომლებშიც საჭიროა ცვლილებების შეტანა სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ინახება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერს სხვა ორგანოებში, მაშინ შეტყობინება ჩანაწერებში ცვლილებათა შეტანის შესახებ იგზავნება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ იმ ბიუროში, სადაც ინახება ჩანაწერების პირველი ეგზემპლარები.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები შეტყობინებათა საფუძველზე შეიტანენ ცვლილებებს სათანადო ჩანაწერების პირველ ეგზემპლარებში, ამოსწერენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ახალ მოწმობებს, გადააგზავნიან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ბიუროში (განყოფილებაში) განმცხადებლისათვის გადასაცემად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და შეტყობინებათა სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარებში ანალოგიურ ცვლილებათა შესატანად გადაუგზავნიან შესაბამის მმჩის არქივებს.

სააქტო ჩანაწერების პირველ და მეორე ეგზემპლარებზე, რომლებშიც შედის ცვლილება, კეთდება აღნიშვნა: „სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლა წარმოებულა სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის სააქტო ჩანაწერის საფუძველზე, რომელიც მოხდენილია _____ რაიონის (ქალაქის) მმჩის ბიუროს (განყოფილების) მიერ 197 წ. „_____“ № _____

აღნიშვნა მოწმდება ბეჭდის დასმით და იმ თანამშრომლის ხელის მოწერით, ვინც შეიტანს შესწორებებს.

100. მამის მიერ სახელის გამოცვლის დროს იცვლება მისი არასრულწლოვანი შვილების მამის სახელი, სრულწლოვანი შვილების მამის სახელის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მათი განცხადების საფუძველზე.

არასრულწლოვანი შვილების გვარი იცვლება ორივე მშობლის გვარის გამოცვლის დროს, თუ ერთ-ერთმა მშობელმა გვარი გამოიცვალა, არასრულწლო-

ვანი შვილის გვარი გამოიცვლება მშობლების შეთანხმებით, ხოლო თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან, ბავშვის გვარის გამოცვლის საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

ერთ-ერთი მეუღლის მიერ გვარის გამოცვლა არ იწვევს მეორე მეუღლის გვარის გამოცვლას.

101. თუ პირმა დაქორწინების დროს დაიტოვა ქორწინებამდელი გვარი, ხოლო შემდეგ იგი გამოიცვალა ქმრის გვარით ან დაქორწინების დროს მიღებული გვარი გამოიცვალა ქორწინებამდელი გვარით, შესწორებების შეტანა მოხდება არა დაბადების, არამედ ქორწინების სააქტო ჩანაწერში.

თუ პირმა, განქორწინების დროს დაიტოვა ქორწინების გვარი, ხოლო შემდეგ ეს გვარი გამოიცვალა ქორწინებამდელი გვარით, შესწორებების შეტანა მოხდება განქორწინების სააქტო ჩანაწერში.

იმ პირის პასპორტის პირველ გვერდზე, ვინც შეიცვალა სახელი, მამის სახელი ან გვარი, კეთდება აღნიშვნა: „სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით პასპორტი შესაცვლელია 10 დღის ვადაში“.

102. სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის გაფორმება უნდა მოხდეს არა უგვიანეს სამი თვისა განცხადების შეტანის დღიდან.

თ ა ვ ი X

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნების შევსების წესები

103. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნები შედგება სააქტო ჩანაწერის ბლანკების პირველი და მეორე (მოსახვევი) ეგზემპლარებისაგან.

104. აქტების რეგისტრაციის დროს ორივე ეგზემპლარი ერთდროულად ივსება და ინომრება ერთიდაიგივე რიგითი ნომრით.

სააქტო ჩანაწერების ნუმერაცია იწყება პირველი ნომრით და თანმიმდევრობით ტარდება მთელი წლის განმავლობაში 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თითოეული სახის სააქტო ჩანაწერების ბლანკებზე წარმოებს ცალკე ნუმერაცია.

105. სააქტო ჩანაწერების გაფუჭების შემთხვევაში, ივსება სხვა (მომდევნო) ბლანკი, გაუქმებული ბლანკი (ორივე ეგზემპლარი) გადაიხაზება და რჩება სააქტო წიგნში. გაფუჭებულ ბლანკზე აღნიშნული სააქტო ჩანაწერის ნომერი გადაიტანება მომდევნო ბლანკზე, რომელზეც წარმოებს აქტის ჩაწერა.

106. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნებში ბლანკების შევსება ხდება ავტოკალმის შავი მელნით და გარკვეული ხელით. სააქტო ჩანაწერების ყველა გრაფა ივსება ამომწურავი პასუხებით. ცალკეული

სიტყვების გამოტოვება, შემოკლება, აგრეთვე შესწორება ან ამოშლა დაუშვებელია. უარყოფითი პასუხი გრაფაში აღინიშნება სიტყვით „არა“.

სახელი, მამის სახელი და გვარი წარმოდგენილ საბუთებთან შედარების შემდეგ ჩაიწერება სრულად.

107. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერის გრაფაში „ეროვნება“ აღინიშნება პასპორტის მიხედვით. პასპორტის უქონლობის შემთხვევაში, ეროვნება განისაზღვრება მშობლების ეროვნების მიხედვით.

თუ მშობლები სხვადასხვა ეროვნების არიან, ჩაიწერება ერთ-ერთი მშობლის ეროვნება განმცხადებლის სურვილის თანახმად.

უცხოელების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დროს, ეროვნების გარდა, აღინიშნება იმ სახელმწიფოს სახელწოდება, რომლის მოქალაქეც (ქვეშევრდომიც) არის, მაგალითად „რუმინელი—რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე“.

მოქალაქეობის არმქონე პირის ეროვნება აღინიშნება სიტყვების „მოქალაქეობის არმქონე“-ს მიმატებით, მაგალითად „ირანელი—მოქალაქეობის არმქონე“.

108. გრაფაში „დაბადების ადგილი“ და „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ აღინიშნება ახალი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით.

109. გრაფაში „სად და რა თანამდებობაზე მუშაობს“ და „სად და რა თანამდებობაზე მუშაობდა“ აღინიშნება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის სახელწოდება, თანამდებობა, ან მოსაქმეობა. მაგალითად „ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა — ზენკალი“ „სამგორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — მემინდვრე“.

სამხედრო მსახურთა მიმართ, ამ გრაფაში აღინიშნება სამხედრო ნაწილის ან დაწესებულების სახელწოდება.

თუ განმცხადებელი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაციის მომენტში არ მუშაობს, უნდა აღინიშნოს მისი არსებობის წყარო („პენსიონერი“, „მოსამსახურე ქმრის კმაყოფაზე“ და ა. შ.).

პენსიონერის გარდაცვალების აქტის რეგისტრაციის დროს გრაფაში „სად და რა თანამდებობაზე მუშაობდა“ დამატებით აღინიშნება გარდაცვალებული პენსიონერის ადრინდელი ძირითადი მოსაქმეობა („პენსიონერი-ექიმი“, „პენსიონერი-მკერავი“ და ა. შ.)

110. გრაფაში — „პირადობის დამადასტურებელი წარმოდგენილი საბუთები“ — აღინიშნება საბუთის სერია და ნომერი. ვის მიერ და როდის არის გაცემული, მაგალითად: „პასპორტი VI-ოფ № 715289, გაცემული 1969 წლის 4 მაისს, ქ. თბილისის ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების მიერ“.

111. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწმობაში აღნიშნული მონაცემები უნდა ემთხვეოდეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებს.

ო ა ვ ი X

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობების გაცემა

112. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების განმეორებითი მოწმობების გაცემა წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული (საქალაქო) ბიუროების (განყოფილებების), თბილისის ქალაქის მმაჩის არქივის, მმაჩის საოლქო და რესპუბლიკური არქივების მიერ მოქალაქეთა განცხადებების ან სახელმწიფო სანოტარო ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე.

113. განმეორებითი მოწმობების გაცემის შესახებ განცხადების მიხედვით სააქტო ჩანაწერების შემოწმება წარმოებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების წიგნებსა და მეტრიკულ წიგნებში. შემოწმება ხდება 7 წლის წიგნებში (განცხადებაში აღნიშნული წელი, ასევე წინა სამი და მომდევნო სამი წელი).

განცხადება განმეორებითი მოწმობის გაცემაზე გატარდება განცხადებათა აღრიცხვის წიგნში.

114. განმეორებითი მოწმობა განმცხადებელს ეძლევა პირადად ან სხვა პირს, განმცხადებლის მინდობილობით.

16 წლის ასაკამდე ბავშვის დაბადების მოწმობა ეძლევა მშობლებს, მეურვეს, მშვილებელს ან მზრუნველს.

გარდაცვალების განმეორებითი მოწმობა მიეცემა გარდაცვალებულის ნათესავეებს.

სხვა ქალაქთა მოთხოვნებზე განმეორებითი მოწმობები გადაეგზავნება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროში (განყოფილებაში) განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო შორს მდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებთა განცხადებებზე განმეორებითი მოწმობები გაიგზავნება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით.

სამხედრო მსახურთა განმეორებითი მოწმობა გადაეგზავნება სამხედრო ნაწილის მეთაურს.

115. მეტრიკული წიგნების მიხედვით მოწმობების გაცემის დროს რიცხვი აღნიშნულ უნდა იქნას ახალი სტილით, მეტრიკულ წიგნში აღნიშნულ თარიღზე 12 დღის მიმატებით იმ მოვლენებზე, რომლებიც მოხდა 1901 წლის 1 იანვრამდე და 13 დღის მიმატებით იმ მოვლენებზე, რომლებიც მოხდა 1901 წლის 1 იანვრიდან.

თუ მეტრიკულ წიგნში არ არის მონაცემი ეროვნების შესახებ, მაშინ განმეორებითი მოწმობის შესაბამის გრაფას ხაზი უნდა გაესვას.

116. მოქალაქეობრივი მდგომარეობის განმეორებითი მოწმობების გაცემის დროს, მოწმობას თავში უნდა დაერთყას შტამპი „განმეორებითი“.

117. განმეორებითი მოწმობები გადაიგზავნება შეკვეთილი ფოსტით, გადაგზავნის დროს მათი შეკერვა, გადაკეცვა აკრძალულია.

118. თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი არ აღმოჩნდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ რაიონულ, საქალაქო ბიუროში (განყოფილებაში) ან თბილისის ქალაქის მმჩის არქივში, განმცხადებელს, რომელმაც პირადად მიმართა ამ ორგანოებს, უნდა ურჩიონ რომ, განცხადება შეიტანოს მმჩის რესპუბლიკურ (საოლქო) არქივში, სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარების შესამოწმებლად.

სხვა ქალაქების მცხოვრებთაგან შემოსული განცხადებები ზემოხსენებულ შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული, საქალაქო ბიუროს (განყოფილების) და თბილისის მმჩის არქივის მიერ გადაეგზავნება მმჩის საოლქო, რესპუბლიკურ არქივს. ორივე შემთხვევაში უკეთდება აღნიშვნა, რომ მმჩის ბიუროში (არქივში) მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი ან ამ ჩანაწერების წიგნი არ არსებობს, რაც მოწმდება ბუქდის დასმით და გამგის ან საქმისმწარმოებლის ხელმოწერით.

თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერი საოლქო, რესპუბლიკურ არქივშიც არ აღმოჩნდა, განმცხადებელს მიეცემა ცნობა ჩანაწერის არ არსებობის შესახებ იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერის შეცვლისა და აღდგენის წესების მე-9 პუნქტში.

119. მოქალაქეთა თხოვნა განმეორებითი მოწმობების გაცემის შესახებ სრულდება 7 დღის ვადაში, ხოლო იმ მოქალაქეებისა, რომლებიც პირადად მიმართავენ არქივს, იმავე დღეს.

120. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების მოწმობის გაცემის შესახებ ჩანაწერზე კეთდება აღნიშვნა გაცემული მოწმობის სერიის, ნომერისა და გაცემის თარიღის ჩვენებით, ანალოგიური აღნიშვნა უკეთდება განცხადებას განმეორებითი მოწმობის გაცემის შესახებ.

121. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების ასლები ეგზავნებათ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებს, პროკურატურას, სასამართლოს, სანოტარო, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მათი მოთხოვნით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების ასლების მოქალაქეებისათვის მიცემა აკრძალულია.

თ ა შ ი XI

ანგარიშგება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ

122. ყოველი თვის არა უგვიანეს ორი რიცხვისა სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გასულ თვეში შედგენილი დაბადების, ქორწინების, მამობის დაღდგენის და გარდაცვალების სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარებს აღწერის ფორმა № 30-ის თანხლებით აბარებენ მოქალა-

ქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ რაიონულ, საქალაქო ბიუროს (განყოფილებას).

გარდაცვალების აქტებს თან ერთვის საექიმო მოწმობა ან საფერწლო ცნობა გარდაცვალების შესახებ, რომელთა დაწებება სააქტო ჩანაწერებზე დაუშვებელია.

არასწორად ან არასრულად (ხელმოუწერავი, ბეჭედ და შტამბ დაურტყმელი, ცალკეული გრაფები შეუვსებელი და ა. შ.) შედგენილი სააქტო ჩანაწერები შესასწორებლად უბრუნდება სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, შესწორებული სააქტო ჩანაწერები უკანვე უნდა დაუბრუნდეს მმჩის ბიუროს სამი დღის განმავლობაში.

123. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული, საქალაქო ბიურო (განყოფილება) ყოველთვიურად მთელი რაიონის მიხედვით 4 ცალად აღგენს უწყისს (ფორმა № 97) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ, მმჩის ბიუროსა და თვითეული სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიხედვით ცალ-ცალკე.

დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარები და უწყისი (ფორმა № 97) ორ ცალად არა უგვიანეს მომდევნო თვის 4 რიცხვისა ეგზავნება შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას, რათა შემოწმდეს სააქტო ჩანაწერების შედგენის სისწორე და დასამუშავებლად გადაეცეს ისინი საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სათანადო ორგანოებს.

ზემოაღნიშნულ იუსტიციის ორგანოებს ეგზავნებათ აგრეთვე მამობის დადგენის, შეილად აყვანის, სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის ერთი წლის წინ გარდაცვალებულთა, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ცნობილ პირთა და აღდგენილი სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარები მათი შედგენის სისწორის შესამოწმებლად.

უწყისის (ფორმა № 97) მესამე ეგზემპლარი გადაეგზავნება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტურას, ხოლო მეოთხე ეგზემპლარი რჩება მმჩის ბიუროში.

თ ა შ ი XII

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო მოწმობათა ბლანკების აღრიცხვა, შენახვა, გამოყენება

124. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ბლანკებს ადგილებზე გზავნის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.

125. მოწმობათა ბლანკები მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებია და ინახება ცეცხლგამძლე კარადებსა და რკინის ყუთებში.



სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოწმობათა ბლანკებიანი ცეცხლგამძლე კარადა და რკინის ყუთი ილუქება.

ბლანკსაცავში შესვლა შეუძლია მხოლოდ მის შენახვაზე პასუხისმგებელ პირს, ხოლო მათი არყოფნის დროს, — ამ პირთა უშუალო უფროსებს.

126. მოწმობათა ბლანკების მიღებას აწარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოყოფილი კომისია.

მოწმობათა ბლანკების მიღების შედეგებზე დგება აქტი.

ბლანკების დანაკლისის ან დეფექტური ბლანკების აღმოჩენის შემთხვევაში (დაბეჭდილი ტექსტის დაზიანება, დუბლირებული ნომრების არსებობა, ბლანკები ირიბად ნაბეჭდი შრიფტით, არასწორად ჩამოჭრილი, არასწორი ფორმატის, სერიისა და ნომრების შეუსაბამობა დასტაზე დაკრულ სახელმწიფო ნიშნის იარაღზე აღნიშნულ სერიასა და ნომრებთან). აქტი დგება ორ ცალად. აქტის ერთი ეგზემპლარი სახელმწიფო ნიშნის იარაღთან და დეფექტურ ბლანკებთან ერთად ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

127. მოწმობათა ბლანკების აღრიცხვისათვის შემოდებული უნდა იქნეს:

ა) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებში, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებაში — მოწმობათა ბლანკების შემოსავალ-გასავლის და პირადი ანგარიშების წიგნები მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებზე და მმაჩის შესაბამის არქივზე გაცემული მოწმობების ბლანკების აღსარიცხავად;

ბ) მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოწმობათა ბლანკების შემოსავალ-გასავლის აღსარიცხავი წიგნი და პირადი ანგარიშების წიგნები — მმაჩის ბიუროსა და სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებზე გაცემულ მოწმობათა ბლანკების აღსარიცხავად;

გ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ რაიონულ (საქალაქო) ბიუროში (განყოფილებაში), ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკურ არქივებში; სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში — მოწმობათა ბლანკების შემოსავლისა და გასავლის წიგნი.

აღნიშნული წიგნები ივსება მელნით, გარკვეულად. წაშლა, ამოფხეკა დაუშვებელია, შეცდომების გასწორების შესახებ კეთდება სათანადო აღნიშვნა.

128. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები მოწმობების ბლანკებს მისცემენ მმაჩის ბიუროებს, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ადრე მიცემული ბლანკების გამოყენებაზე გამამართლებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

129. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული (საქალაქო) ბიუროები (განყოფილებები) და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყოველკვარტალურად არა უგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, მშრო-

მელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგენენ ანგარიშს დადგენილი ფორმით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების მოწმობების ბლანკების გამოყენების შესახებ, ხოლო თავის მხრივ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოწმობათა ბლანკების გამოყენების შესახებ კვარტალურ ნაკრებ ანგარიშებს არა უგვიანეს კვარტალის მომდევნო თვის 13 რიცხვისა უდგენენ შესაბამისად: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება ყოველკვარტალურად თავის მხრივ უდგენენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ნაკრებ ანგარიშებს მოწმობების ბლანკების ხარჯვის შესახებ.

მმაჩის რესპუბლიკური და თბილისის არქივები, აგრეთვე თბილისის ქორწინების სახლი ყოველკვარტალურად დადგენილი ფორმით უდგენენ ანგარიშს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს.

130. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების მოწმობათა ბლანკების დაკარგვის ან დატაცების შესახებ იმავე დღეს უნდა ეცნობოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა განყოფილებას, და შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის იუსტიციის განყოფილებას.

131. სააქტო ჩანაწერებში ცვლილებათა შეტანის გამო გამოსაცვლელად ჩაბარებული მოწმობები, გაცვეთილი და ნაპოვნი მოწმობები, აგრეთვე შევსების დროს გაფუჭებული მოწმობები ინახება და მათი განადგურება (დაწვა) ხდება უფლებამოსილი კომისიის მიერ, რაზედაც დგება აქტი.

ნადგურდება აგრეთვე სხვა მმაჩის ბიუროდან გადმოგზავნილი მოწმობები, რომლებიც მოქალაქეებს ექვსი თვის განმავლობაში არ მიუღიათ.

თ ა ვ ი XIII

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების რევიზია

132. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ პერიოდულად მოწმდება:

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი რაიონული (საქალაქო) ბიუროების (განყოფილებების) და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობა (მმაჩის საზით),



ქორწინების სახლის, მმაჩის რესპუბლიკური და თბილისის ქალაქის არქივების მუშაობა;

აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების მუშაობა (მმაჩის ხაზით).

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების მუშაობის შემოწმებას აწარმოებენ აგრეთვე შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ.

132. რევიზიის დროს მოწმდება:

ა) დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის აქტების რეგისტრაციის სისწორე;

ბ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების აღდგენის სისწორე;

გ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების შესწორებათა და ცვლილებათა შეტანის სისწორე და სათანადო ორგანოებში შეტყობინებათა გადაზავნის დროულობა;

დ) მოწმობათა ბლანკების აღრიცხვისა და შენახვის მდგომარეობა;

ე) გარდაცვალებულთა პასპორტებისა და სამხედრო ბილეთების ამოღების, გაუქმების, აღრიცხვისა და ჩაბარების წესის შესრულება;

ვ) სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების სისწორე, აგრეთვე არის თუ არა დაკარგული განცხადებებზე სახელმწიფო ბაჟის გაუქმებული მარკები და მათი გაუქმების სისწორე;

ზ) სხვა მმაჩის ბიუროებიდან მიღებული განმეორებითი მოწმობების აღრიცხვის, შენახვისა და თავის დროზე გაცემის საკითხი;

თ) მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა, მათზე მიღებული ზომები, განცხადებებისა და საჩივრების შენახვის საქმე.

134. შემოწმების ჩატარების შემდეგ ყველა საბუთი, რომლებზეც დაკარგულია სახელმწიფო ბაჟის მარკები, იკერება დასტებად, ილუქება და ასე ინახება გაუქმებამდე.

საკვირო შემთხვევაში ხდება დასტის ვახსნა, რაზედაც დგება აქტი ვახსნის მიზეზის აღნიშვნით.

135. დაქორწინების შესახებ განცხადებები, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, განქორწინების, სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის, დაკარგული სააქტო ჩანაწერების აღდგენისა და სააქტო ჩანაწერებში შესწორებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ მასალები ინახება მმაჩის ბიუროში 5 წლის განმავლობაში, ხოლო განცხადებები განმეორებითი მოწმობების გაცემაზე, საკონტროლო სიები დაბადების შესახებ, ჯანმრთელობის ორგანოების ცნობები და

სხვა მასალები ინახება 2 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ხდება მათი განადგურება (დაწვა).

136. რევიზიის შედეგების შესახებ დგება აქტი 2 ეგზემპლარად — ერთი წარედგინება იმ ორგანოს, რომელმაც ჩაატარა შემოწმება, ხოლო მეორე რჩება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში.

26 მ. ხერგიანის ბიუსტის დაღვინის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თხოვნა, რომ დაიდგას სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ხერგიანის ბიუსტი განსვენებულის საფლავზე.

2. ბიუსტის აგება დაფინანსდეს მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტის გასაჯალზე შემოსავლის გადამეტების სახსრებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 25 მარტი, № 159

27 ქ. თბილისში საინინსტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მუშაობის დაწყების დროის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის ზოგიერთი უწყება, ორგანიზაცია და საწარმო არღვევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 მარტის № 194 დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მუშაობის დაწყება-დამთავრების დაწესებული დროის დაცვას, აგრეთვე ამცირებს სადილობის შესვენებას. ამასთან დაკავშირებით, ქალაქის ტრანსპორტის მუშაობაში სიძნელეები იქმნება მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანისას ყველაზე დაძაბულ საათებში.

ყველაზე დაძაბულ საათებში სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს ქ. თბილისში სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მუშაობის დაწყების დროის გრაფიკი, რომელიც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიმუშავა.

2. დაევალოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაამტკიცონ მუშაობის დაწყების გრაფიკი და კონტროლი დაუწესონ ყველა დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ მუშაობის დაწყების დაწესებული დროის დაცვას, დანართის თანახმად, და სამოქმედოდ შემოიღონ იგი მიმდინარე წლის 19 აპრილიდან.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 მარტის № 194 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 25 მარტი, № 177

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 25 მარტის № 177
დადგენილების დანართი

ქ. თბილისში სამინისტროთა, უწყებათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მუშაობის დაწყების დროის შესახებ

1. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, სამმართველოები — დილის 9 საათზე.
2. საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებანი — დილის 8 საათსა და 30 წუთიდან 9 საათსა და 30 წუთამდე.
3. ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებანი და ორგანიზაციები — დილის 9 საათსა და 30 წუთზე.
4. სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი — დილის 10 საათზე.
5. საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, — დილის 9 საათსა და 30 წუთზე.

6. უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლები — დილის 8 საათიდან 9 საათსა და 30 წუთამდე.
7. პოლიკლინიკები — დილის 9 საათსა და 30 წუთზე.
8. სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებანი (საავადმყოფოები) — დილის 9 საათზე.
9. სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოები — დილის 7 საათიდან 9 საათამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი**.

28 „შოთა რუსთაველის ახალი პრექტის გამოსავლინებლად ახალი კონსტრუქციის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 227 დადგენილებით დამტკიცებული დებულების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

შოთა რუსთაველის ახალი ძეგლის მაღალმხატვრული პროექტის გამოვლინების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს მხატვართა კავშირის თხოვნა „შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტის გამოსავლინებლად ახალი კონსტრუქციის მოწყობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აპრილის № 227 დადგენილებით დამტკიცებული დებულების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ და ამ დებულების მე-4, მე-6, მე-7, მე-15, მე-17, მე-18 და 23-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკონსტრუქციო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს 1972 წლის 3 აპრილის 17 საათამდე, მისამართით: ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11, საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეა, „შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტების კონსტრუქციისათვის“.

„6. არათბილისელმა ავტორებმა ქანდაკების პროექტები საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში უნდა მიიტანონ მე-4 პუნქტში აღნიშნული წესის დაცვით ან უნდა გამოაგზავნონ თბილისში არა უგვიანეს 1972 წლის 3 აპრილის 17 საათამდე და დეპეშით აცნობონ მიმღები კომისიის თავმჯდომარეს (საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის მისამართით) საკონსტრუქციო მასალების გადამზიდი ორგანიზაციის დასახელება, მის მიერ გაცემული ქეითარის ნომერი და თარიღი“.

„7. შოთა რუსთაველის ქანდაკების პროექტების კონსტრუქციის წარმოდგენილ ნაწარმოებთა გამოფენა გაიხსნება 1972 წლის 10 აპრილს და გასტანს ამავე წლის 1 ივლისამდე“.



„15. ძეგლის არქიტექტურული ნაწილის საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს 1972 წლის 25 დეკემბრის 17 საათამდე, მისამართით: ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11, საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეა, „შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტების კონკურსისათვის“.

„17. არათბილისელმა ავტორებმა ძეგლის არქიტექტურული ნაწილის პროექტის საკონკურსო მასალები საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში უნდა მიიტანონ მე-15 პუნქტში აღნიშნული წესის დაცვით, ან უნდა გამოაგზავნონ თბილისში არა უგვიანეს 1972 წლის 25 დეკემბრის 17 საათამდე და დეპეშით აცნობონ მიმღები კომისიის თავმჯდომარეს (საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის მისამართით) საკონკურსო მასალების გადამზიდი ორგანიზაციის დასახელება, მის მიერ გაცემული ქვითრის ნომერი და თარიღი“.

„18. შოთა რუსთაველის პირველი პრემიით აღნიშნული ქანდაკების არქიტექტურული ნაწილის პროექტების გამოფენა გაიხსნება საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში 1973 წლის 10 იანვარს და გასტანს ერთ თვეს“.

„23. ყიუჩიის საბოლოო გადაწყვეტილება გამოქვეყნდება არა უგვიანეს 1973 წლის 1 მარტისა“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 31 მარტი, № 178

29 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაგულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 აგვისტოს № 497 დადგენილება „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 1 აპრილი, № 179

დ ა მ ტ კ ი ნ ი მ ა უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს
1971 წლის 1 აპრილის № 179
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო უშუალოდ და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მეშვეობით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის მთელ საქმიანობას.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ეკისრება:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა იმ პენსიებისა და დახმარების დანიშვნისა და გაცემისადმი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტროს საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისად;

ბ) საექიმო-შრომითი ექსპერტიზის მოწყობა შრომისუნარიანობის მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის (ინვალიდობის ჯგუფის) დასადგენად და შრომისუნარიანობის დაკარგვის დონის გამოსარკვევად;

გ) ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და პროფესიული სწავლების, აგრეთვე პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების და მათი ოჯახის წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება;

დ) მოსახლეობისადმი საპროტეზო-ორთოპედიული დახმარების გაწევა;

ე) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში მყოფ მოქალაქეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება;

ვ) საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, პენსიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროების საქმიანობისადმი საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი.

3. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო:

ა) ხელმძღვანელობს და ახორციელებს კონტროლს პენსიებისა და დახმარების დანიშვნისადმი, დააყენებს საკითხებს, რომ გაუქმდეს ან გადაისინჯოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.



არსებული პენსიების დამნიშნავი კომისიების და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დამნიშნავი კომისიების გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას; კონტროლს გაუწევს მრავალშვილიანი დედებისათვის საპატიო წოდების „გმირი დედა“ მისანიჭებლად და „სახელოვანი დედა“ ორდენით და „დედობის მედლით“ დასაჯილდოებლად წარდგინების მომზადებასა და გაფორმებას; დააწესებს საპენსიო მოწმობების ფორმებს;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს საექიმო-შრომით ექსპერტიზას საქართველოს სს რესპუბლიკაში; შეიმუშავებს და გამოსცემს მეთოდურ მითითებებს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შესახებ; კონტროლს გაუწევს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით და უშუალოდ, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობას, უზრუნველყოფს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებათა გადასინჯვასა და გაუქმებას.

გ) მოაწყობს სასწავლებლებსა და საწარმოებს ინვალიდთა პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მათ მიერ სხვა პროფესიების შესწავლისათვის, განახორციელებს მათდამი ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს ინვალიდთა სწავლებას და მათ მიერ სხვა პროფესიების შესწავლას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში;

დ) მოაწყობს მუშაობას და განახორციელებს კონტროლს პერსონალური პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი; მისცემს საპენსიო წიგნაკებს იმ პირებს, რომლებსაც დაენიშნათ საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიები, და მისცემს ამ პირებს პენსიებს დადგენილი წესით, განახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების გაცემისადმი;

ე) შეამოწმებს როგორც უშუალოდ, ისე თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას ინვალიდთა, პენსიონერთა, მათი ოჯახის წევრთა, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედათა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში და კონტროლს გაუწევს იმას, რომ მიენიჭოთ მათ დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი;

ვ) დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან მოწყობილ პენსიონერთა ურთიერთდახმარების სალაროების ტიპობრივ წესდებას;

ზ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში მყოფ მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის;

თ) დაგეგმავს და მოაწყობს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და განახორციე-

ლებს კონტროლს რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციებისადმი;

ი) შეიმუშავეს და განახორციელეს ღონისძიებებს სასწავლებლების (სასწავლო-საწარმოო ტექნიკური სკოლების, სასწავლო საწარმოებისა და სხვა), მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; შეიმუშავეს დადგენილი წესით ამ დაწესებულებებში სახსრების ხარჯვის ნორმატივებს;

კ) მოაწივოს მოსახლეობაში მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

ლ) აწარმოებს მშრომელთა მიღებას, განიხილავს მათ წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც სამინისტროში შემოდის, და ამ წერილების, საჩივრებისა და განცხადებების მიხედვით მიიღებს საჭირო ზომებს;

მ) მოაწივოს საგეგმო-საფინანსო მუშაობას სამინისტროს სისტემაში, შეადგენს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელისა და კონტინგენტების განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, საპროტეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა წარმოების, შრომისა და ხელფასის, კადრების მომზადებისა და გადამზადების გეგმებს;

ნ) შეადგენს დაფინანსების შეჯამებითს გეგმებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს და განახორციელებს მათი შესრულებისადმი კონტროლს;

ო) დადგენილი წესით დაამტკიცებს შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა მშენებლობას და განახორციელებს კონტროლს ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებებისა და საწარმოების მშენებლობისადმი;

პ) მოაწივოს და კონტროლს გაუწევს საპროტეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა წარმოებას და დაადგენს ამ ნაკეთობებით მოსახლეობის მომარაგების წესს;

ჟ) ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებულ საპროტეზო-ორთოპედიულ ქარხანას და სასწავლო საწარმოებს, დანერგავს აღნიშნულ საწარმოებში ახალ მოწინავე ტექნიკასა და უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიას, განახორციელებს საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას; განახორციელებს ღონისძიებებს შრომის დაცვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის; ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში; ხელს შეუწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებში;

რ) მოაწივოს მუშაობის გამოცდილების გავიარებას სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ს) მოაწივოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, შეამოწმებს და დახმარებას გაუწევს

ადგილებზე კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს, კონტროლს გაუწევს მუშაობას მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რომელსაც სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები ეწვევიან;

ტ) დააფინანსებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს;

უ) მოაწივებს და კონტროლს გაუწევს სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას სამინისტროს სისტემაში; განახორციელებს საფინანსო კონტროლს, ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობას;

ფ) დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ქ) დაამტკიცებს საწარმოების, მშენებლობების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, სასწავლებლების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს სამინისტროსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთის დაცვით;

ღ) დადგენილი წესით დაამყარებს კავშირთა ურთიერთობას სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე უცხო ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებთან;

ყ) მისცემს რეკომენდაციას ლიტერატურის გამოსაცემად სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:

ა) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ისეთ საკითხებზე გამოტანილ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას, რომლებიც შეეხებიან სამინისტროს საქმიანობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭონ განსაზღვრულად წარუდგენს კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

გ) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, შეამოწმებს მათ შესრულებას;

დ) შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გააუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების ბრძანებებს, სოციალური უზრუნველყოფის სხვა ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად;

ე) დადგენილი წესით დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელ მუშაკებს, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოების და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დებულებებს (წესდებებს);

ვ) შესაბამის პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს საწარმოთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და დააჯილდოებს საუკეთესო მუშაკებს ნიშნით „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული“, აგრეთვე დააჯილდოებს სამინისტროს სისტემის მუშაკებს სიგელებით.

ზ) შეიტანს ცვლილებებს სამინისტროს სტრუქტურაში და დაამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს სამინისტროს ამ აპარატისათვის დამტკიცებული შტატისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში ისე, რომ დაცულ იქნეს თანამდებობრივი განაკვეთების სქემები.

5. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეების და სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე (რომლებიც რეგულარულად იმართება) განიხილავს საკითხებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების შესახებ, სოციალური უზრუნველყოფის საქმიანობის ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებს, მოხსენებებს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, განყოფილებების და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების მუშაობის გამოცდილების შესახებ, აგრეთვე კადრების შერჩევის, განაწილებისა

და აღზრდის, სამინისტროს ნომენკლატურის მუშაკთა დანიშვნისა და განთავსუფლების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოების და განყოფილებების, ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა ანგარიშებს.

კოლეგიის დადგენილებები ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა მოწინავე გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხილავენ სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ 'აკითხებს.

7. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

30 საქართველოს სსრ საბჭოთა მეთრეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

ტყეების მდგომარეობისა და სატყეო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიჩნეულ იქნეს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის ორგანოების უახლოესი წლების მთავარ ამოცანად ტყეების ნაყოფიერების აღდგენა, მათი წყლის შენახვის, ნიადაგის დაცვის და ჰავის მარეგულირებელი ფუნქციების შენარჩუნება და გაძლიერება; რისთვისაც დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) აამაღლოს ტყეების პროდუქტიულობა და უზრუნველყოს მათი აღდგენაკვლავწარმოება; ფართოდ გააჩაღოს ტყის აღდგენის სამუშაოები სახელმწიფო ტყის ფონდში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გამეჩხრებული ნარგავებისა და მარადმწვანე და ფოთლომცვივანა ბუჩქნარების ქვეტყის აღდგენას, სადაც არ ხდება ბუნებრივი განახლება; განახორციელოს ღონისძიებანი სატყეო-სათესლე და სატყეო-სანერგე საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის; დაუყოვნებლივ დაიწყოს სამუშაოები ტყის გაკულტურების სამუშაოთა თანდათანობით გადაყვანისათვის სელექციურ საფუძველზე, რათა მომავალში ტყეები გაშენდეს გაუმჯობესებული მემკვიდრეობითი თვისებების მქონე თესლითა და ნათესართ; მიადწიოს მიმდინარე ხუთწლედში სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი სამერქნე ჯიშების მაღალხარისხოვანი სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანას წელიწადში სულ ცოტა 85—90 მილიონი ნერგის ოდენობით;

ბ) 1 ჯგუფის მთის ტყეებში ტყეთსარგებლობის ყოველწლიური ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს, რომ ამ ტყეებში უნდა შეინარჩუნონ თავიანთი ძირითადი დამცველი ფუნქციები, უზრუნველყოს ტყეების განუწყვეტელი და თანაბარზომიერი გამოყენება, ამასთან განსაკუთრებით სრულად მოიხმაროს ტყის რესურსები მერქნისა და ტყის სხვა პროდუქტიაზე, რესპუბლიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმას, რომ სატყეო-სამეურნეო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგოს ტყის აღდგენითი ჭრის რაციონალური წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის ბუნებრივ განახლებას; იმავე დროს სრულყოს ამორჩევითი მეურნეობის გაძლოა მთის ნაირხნოვან ტყეებში, უზრუნველყოს ტყესაქაფის დროული და სწორი გამოყოფა, არ დაუშვას ტყის ჭრა დადგენილი ტყესაქაფის ფარგლებს გარეთ და ხე-ტყის გაცემისა და ტყის ჭრის მოქმედი წესების დარღვევები;

დ) ყოველი ღონისძიებით დააჩქაროს ტყის გზების მშენებლობა, და საამისოდ გამოიყენოს სახსრები, რომლებიც გამოყოფილია როგორც სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებიდან, ისე საოპერაციო ხარჯებიდან;

ე) ტყის პათოლოგიური გამოკვლევის მასალების საფუძველზე განახორციელოს ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს წიფლნარის, წაბლნარის, მუხნარის, თელისა და სხვა ძვირფასი ჯიშების გაშენებას;

ვ) განახორციელოს ტყის აღსადგენი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი ბორჯომის ხეობის ტყეებში, ამასთან გაითვალისწინოს ნაძვის დიდი ლაფნიჭამიას მასობრივი გავრცელების შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა აამაღლოს სამუშაოთა ხარისხი და ეფექტიანობა, სწორად განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა თემატიკა, მოაწყოს კვლევა ნაძვის დიდი ლაფნიჭამიასა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ კომპლექსური ბრძოლის პრობლემის გადასაჭრელად, მეტი ნდობით მოეკიდოს და ჭეროვნად შეაფასოს ლაფნიჭამიას ადგილობრივი, ბუნებრივი მტრების მეცნიერული ძიება და გაააქტიუროს მუშაობა მასთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოსაძებნად, მოაწყოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რათა შეისწავლოს, თუ როგორ მოქმედებენ ქიმიური საშუალებებით მასობრივად დამუშავებული ტყის ნარგავები ადამიანზე, შინაურ ცხოველებსა და სასარგებლო ფაუნაზე.

3. დაევალოს სოფლის მეურნეობის და ფინანსთა სამინისტროებს, გაითვალისწინონ 1972 წლიდან სახსრების გამოყოფა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის საბიუჯეტო ასიგნებებზე გადაყვანის დაფინანსებისათვის.

4. დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაამთავროს 1971 წელს ტყის დაცვის საცდელი სადგურისა და მასთან ერთად ინსექტარიუმის დაპროექტება და 1972 წლის დამლევამდე დაასრულოს ამ ობიექტის მშენებლობა.

5. იმ მიზნით, რომ სატყეო-სამეურნეო წარმოებაში რაც შეიძლება მალე დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ტყის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, აგრეთვე განხორციელდეს ტყის მავნებელ-დაავადებათა კერების მოსაზობის ოპერატიული ღონისძიებანი, მიღებულ იქნეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება მის სისტემაში სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ლაბორატორიის სტრუქტურა და შტატები 1971 წლისათვის დამტკიცებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

6. რესპუბლიკის ტყეების მეტისმეტი ექსპლოატაციისაგან დაცვის მიზნით დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს შესაბამისი სამინისტროების, ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით ღონისძიებანი ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გადასაყვანად უშეშო სათბობზე იმ ვარაუდით, რომ შესაზე არსებული რეალური მოთხოვნილება არ აღემატებოდეს რესპუბლიკის რესურსებს.

7. დაევალოს თბილისის ტყის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს გადასინჯონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკა და დაუქვემდებარონ იგი საქართველოს ტყეების ნაყოფიერების აღდგენის ამოცანებს, ამასთან დაამუშაონ სხვა ინსტიტუტებთან ერთად მთის პირობებში სატყეო მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის სისტემის შექმნის პრობლემები.

8. თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტმა არა უგვიანეს 1972 წლისა შეიმუშაოს ხე-ტყის დამზადების მექანიზაციის სასტემა, რომელიც გამოდგება მთავორიან პირობებში და უზრუნველყოფს დარჩენილი ხეების შიშლის აღდგენას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

9. სატყეო მეურნეობის წარმოების მექანიზაციის სამუშაოთა გაძლიერების მიზნით ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს შექმნას საცდელ-საჩვენებელი მექანიზებული სატყეო მეურნეობა საკონსტრუქტორო ბიუროთი, არსებული მანქანა-მექანიზმების მთავორიან პირობებში გამოყენება-შეგუების მიზნით.

10. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოები ტრაქტორებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანაბრად.

11. აიკრძალოს სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაოთა გამოყენება იმ სამუშაოებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული მათს სამსახურებრივ მოვალეობებთან.

12. სრულიად საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის ტყეთმონოფიკის საწარმომ ყოველმხრივ გააუმჯობესოს ტყეთმონოფიკის სამუშაოების შესრულების ხარისხი, უზრუნველყოს მთის ტყეების ზუსტი ინვენტარიზაცია და ტაქსაციის ახალი მეთოდებისა და საშუალებათა ფართოდ გამოყენება, შეიმუშაოს სატყეო მეურნეობის მონოფიკისა და განვითარების პროექტები, რომლებშიაც გათვალისწინებულ იქნეს ტყის ნაყოფიერების სწრაფი და სრული აღდგენა და მისი დაცვითი ფუნქციების გაძლიერება.

13. ტყის რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ტყის არაპირდაპირი სარგებლობის პროდუქციის გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

14. მეტისმეტი და მოუწესრიგებელი ძოვებისა და თიბვის შედეგად სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული დიდი ზიანის გათვალისწინებით დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ ტყის სახელმწიფო ფონდის ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვებისა და თიბვის მოწესრიგების ღონისძიებანი, აგრეთვე წინადადებანი სახელმწიფო ტყის ფონდის

ტერიტორიიდან მეცხოველეობის ფერმების თანდათანობით გამოყვანის შესაძლებლობის შესახებ.

15. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს შეისწავლონ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად განახორციელოს სატყეო მეურნეობის წარმოების სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის წინადადებათა, გააძლიეროს მეურნეობის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მომზადებულობა, აამაღლოს სატყეო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაცია, გააძლიეროს მათი შეგნებულობა და პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ტყის სიმდიდრის დაცვისა და გადიდების იმ ამოცანების შესრულებისათვის, რასაც მათ აკისრებს პარტია და მთავრობა.

17. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა სატყეო მეურნეობებისადმი, სისტემატურად იმუშაონ სატყეო მეურნეობის საწარმოების მიერ გეგმების შესრულების საკითხებზე, დახმარება გაუწიონ მათ ტყის აღდგენისა და დაცვის სამუშაოების ხარისხიანად შესრულებასა და ტყის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში; გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელითი მუშაობა სატყეო მეურნეობის მუშაკებს შორის.

დაწესდეს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში სახალხო-სამეურნეო გეგმის შესასრულებლად გაწეული მუშაობის შეფასების დროს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სატყეო მეურნეობის დარგში მიღწეული მაჩვენებლებიც.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის, კინემატოგრაფიის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტებმა, ბუნების დაცვის საზოგადოებამ და საზოგადოება „ცოდნამ“, რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, ყურნალების „საქართველოს ბუნების“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ და „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ რედაქციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროპაგანდის საშუალებათა გამოყენებას (ბეჭდვითი სიტყვა, კინო, რადიომაუწყებლობა,

ტელევიზია) ტყის მნიშვნელობის სისტემატური პოპულარიზაციისათვის, გააძლიერონ ტყისადმი მზრუნველი დამოკიდებულების პროპაგანდა, რეგულარულად გააშუქონ ტყის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 7 აპრილი, № 183

31 ჩაიოტის შესახებ დი ფასის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს 1971 წლის მოსავლის ჩაიოტის სახელმწიფო შესასყიდი ფასი 1 ტონა 200 მანეთად.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ შესყიდული ჩაიოტის ნედლეული მთლიანად გამოიყენოს საკონსერვო მრეწველობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 8 აპრილი, № 184

32 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:



125. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საცხოვრებელი სახლები (ყანობილის მთაზე და დაბა აბასთუმანში).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჯიბიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 13 აპრილი, № 188

33 დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში შიგა და გარე ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში რესპუბლიკაში, და განსაკუთრებით თბილისში, ხმაურისა და ვიბრაციის დონის შესამცირებლად გაწეული იყო გარკვეული მუშაობა. მთელ რიგ კურორტებზე გამოვლინებულია სატრანსპორტო ხმაურის ფაქტიური დონე და მიცემულია რეკომენდაციები მის დასაქვეითებლად. შესწავლილია თბილისის ძირითადი მაგისტრალების ხმაურის დონე და შემუშავებულია ღონისძიებანი მის შესამცირებლად. თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, გაგრა-ბიჭვინთაში მასობრივი მშენებლობის, მთელი რიგი ტიპების საზოგადოებრივი შენობებისა და საცხოვრებელი სახლებისათვის განსაზღვრულია გადამღობი კონსტრუქციების ფაქტიური ბგერათმავლობის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის უზრუნველყოფა.

მაგრამ ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ არ მიუღია გეგმაზომიერი და მასობრივი ხასიათი. ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, რომლებმაც, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების თანახმად, უნდა განახორციელონ ხმაურის ინტენსივობის თავიდან აცილების, შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებანი, ჯერ კიდევ ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლაში, სუსტად სწავლობენ ხმაურისაგან მოსახლეობის დაცვის ღონისძიებებს და არ ეწევიან მათ პროპაგანდას; არ არსებობს იმ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური სტანდარტებისა და მთავრობის დადგენილებათა ქმედითი და ყოველდღიური კონტროლი, რომელიც შეეხება ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლას; სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები თავის შრომებსა და პროექტებში საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ხმაურისაგან დასახლებული ადგილების დაცვის პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტას და საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გადამღობი კონსტრუქციების ბგერათმავლობის უზრუნველყოფის თვისებების ამაღლებას, წარმოებს არ აუთვისებია

ბგერათსაიზოლაციო და ბგერათშთანმთქავი დიდად ეფექტიანი მასალებისა და ნაკეთობების გამოშვება. შენობებისა და ნაგებობების აშენების ღრის მშენებლები ხშირად არღვევენ ხმაურისაგან დაცვის იმ მინიმალურ მოთხოვნებსაც კი, რომლებიც პროექტებითაა გათვალისწინებული.

დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში შიგა და გარე ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მშრომელთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახმშენმა:

ა) დაავალოს საპროექტო ინსტიტუტებს ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების პროექტების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვადაშობი კონსტრუქციების ბგერათიზოლაციის ნორმატიული მოთხოვნების შესრულებასა და შენობათა საინჟინრო მოწყობილობით წარმოებული ხმაურის ჩახშობას;

ბ) ქალაქების დაგეგმარების, დასახლებული პუნქტების დეტალური დაგეგმვის და რეკონსტრუქციის პროექტების განხილვისას გაითვალისწინოს მათში გარე ხმაურის მოსალოდნელი დონის მონაცემები და ხმაურის ზემოქმედებისაგან განაშენიანების დაცვის სპეციალური ღონისძიებანი; არ დაუშვას ისეთი პროექტების დამტკიცება, რომლებშიც არ არის დასაბუთებული ხმაურის დასაშვები დონის ჰიგიენური ნორმების დაცვა;

გ) შეიტანოს ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესწავლა ინჟინერ-მშენებლების, ინჟინერ-სანტექნიკოსებისა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მუშაობის პროგრამაში.

2. დაევალოს თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს:

ა) 11309-65 სახელმწიფო სტანდარტის 23 პუნქტის შესაბამისად მოაწყოს შემეკვეთთა ხარჯზე ვადაშობი კონსტრუქციების ბგერათიზოლაციის ინსტრუმენტული კონტროლი მსხვილპანელიან შენობებში, რომლებიც შენდება რესპუბლიკაში და პირველ რიგში თბილისში.

ამ სამუშაოთა შესრულება დაევალოს სათანადო გამოცდილებისა და აპარატურის მქონე ინსტიტუტებს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურს;

ბ) 1972-1973 წლებში შეიმუშაოს ხმაურისაგან დაცული ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლის პროექტი, ქალაქის იმ რაიონების გასანაშენიანებლად, რომლებშიც ხმაურის შემცირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

3. დაევალოს თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის ინსტიტუტს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა, სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს გაითვალისწინონ თავიანთი მუშაობის თემატიკაში გარე და შიგა ხმაურ-



რის წინააღმდეგ ბრძოლა დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და საწარმოო შენობებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ხმაურისაგან დაცვის ხელოვნური და ბუნებრივი საშუალებების გამოყენების პრაქტიკული რეკომენდაციების, წინადადებების, ალბომების, კატალოგებისა და ცნობარების, ბგერათსაიზოლაციო და ბგერათშთანმთქავი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების შემუშავება.

4. დავალოს ქალაქებისა და რაიონების, პირველ რიგში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ვაგრის, ქობულეთის, ბორჯომის, წყალტუბოს მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეადგინონ 1971-1973 წლებში ქალაქების ხმაურიანობის რუკები, რომლებზედაც აღნიშნონ მაგისტრალებსა და განაშენიანებულ უბნებზე ხმაურის ფაქტიური და მოსალოდნელი დონე;

ბ) დაავალონ შესაბამის ორგანიზაციებს — 1971-1972 წლებში დააპროექტონ სანიტარიულ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა დანადგარები საცხოვრებელ სახლებში, მაღაზიებში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ხმაურისა და ვიბრაციის სანიტარიულ ნორმებამდე შესამცირებლად;

გ) იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ არ არის ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საქალაქო და რაიონული კომისიები, შექმნან კომისიები აღმასკომის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის მეთაურობით.

დაავალონ ამ კომისიებს განახორციელონ ქუჩებსა და მოედნებზე, სკვერებსა და პარკებში, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში ტრანსპორტით, საწარმოების, მშენებლობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის საწარმოებისა და სხვა ობიექტებისაგან გამოწვეული ხმაურის შეზღუდვის ღონისძიებების შესრულება, აგრეთვე მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხმაურის მავნეობისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

5. დავალოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს განიხილოს რუსთავის საშენი მასალების კომბინატში ბგერათსაიზოლაციო და ბგერათშთანმთქავი მასალების გამოშვების საკითხი, ამასთან განსაზღვროს ამ მასალების გამოშვების ვადები, ხოლო შედეგები ერთი თვის ვადაში მოახსენოს ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ კომისიას.

6. შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

ა) დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი ქალაქის ქუჩებში სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვისა და აკრძალვის შესახებ. გააძლიეროს ისეთი ტვირთით დატვირთული ტრანსპორტის მიერ ლამით სიგნალების მიცემისა და მოძრაობის კონტროლი, რომელიც ხმაურის ვადიდებულ დონეს ქმნის;

ბ) 1971 წლის მეორე კვარტალიდან მოაწყოს სატრანსპორტო ხმაურის წინააღმდეგ ღონისძიებების სწავლება სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლებისათვის;

გ) მოაწყოს, 1971 წლიდან სატრანსპორტო საშუალებათა წლიური ტექნიკური დათვალიერების დროს ხმაურის დონის ამორჩევითი გაზომვა, ამასთან

არ დაუშვას საექსპლოატაციოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც გადიდებულ ხმაურს ქმნიან.

7. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს იმ ღონისძიებათა კონტროლი, რომელთა მიზანია საწარმოო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო ხმაურის შემცირება.

8. წინადადება მიეცეს რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას“ მოაწყოს გარე და შიგა ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლი და ამ თემაზე პოპულარული ბროშურების, პლაკატებისა და ფურცლების გამოშვება.

9. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები და რესპუბლიკაში ხმაურის დონის შემცირების ღონისძიებათა შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა რეგულარულად მოაგონოს რადიომსმენელებსა და ტელემყურებლებს ღამის 11 საათის შემდეგ, რომ საჭიროა ბგერათაღმწარმოები მოწყობილობების ხმის დაკლება.

10. დავალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს 1971-74 წლებში თბილისის, სოხუმის, გაგრის ფარგლებში გზების კაპიტალური რემონტის დროს უპირაპირო ღიანდაგების დაგება იქ, სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი.

11. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურთან მოწყობილია ხმაურმზომი ლაბორატორია;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრომ დაავალა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს:

— გაითვალისწინოს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო ფიზიკის კურსის პროგრამაში სამშენებლო აკუსტიკის საკითხები;

— შეიტანოს მშენებელ-ინჟინერთა კვალიფიკაციის ასაძაღვებელი კურსების სასწავლო გეგმაში ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაშახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიბიაშვილი**.

34 საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 143 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 145 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაგანიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 21 აპრილი, № 206

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 აპრილის № 206 დადგენილებით

წესდება

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოსი

1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო (საქგეოლოგია) არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსაც.

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო ახორციელებს საქართველოს სსრ წიაღის გეოლოგიურ შესწავლას.

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო პასუხისმგებელია რესპუბლიკის წიაღის გეოლოგიური შესწავლის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ამ დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის, შესასრულებელ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის და იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად იქნეს უზრუნველ-

ყოფილი რესპუბლიკისა და შთელი ქვეყნის მოთხოვნილება მინერალური ნედლეულის დაზვერილ მარაგზე.

2. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო მოქმედებს თანახმად დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით, და სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის 1966 წლის 11 ივნისის № 256 ბრძანებისა „სახელმწიფო გეოლოგიურ-სადაზვერვო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური ორგანიზაციებისადმი სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების შეფარდების თავისებურებათა შესახებ“.

3. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო არის დამოუკიდებელი საწესდებო საწარმოო ორგანიზაცია, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე და აქვს იურიდიული პირის უფლებები.

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო მის შემადგენლობაში შემავალი გეოლოგიური ექსპედიციების, პარტიებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ საწესდებო უფლებები, მოქმედებს როგორც წარმოებითი საწარმო.

თავისი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს აქვს საწარმოო ქვედანაყოფები დამოუკიდებელ ბალანსზე.

4. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო თავისი საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, გეოლოგიის სამინისტროს დებულებით, მისი ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე ამ წესდებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას თავისი სისტემის ორგანიზაციებში.

5. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია თავისი დასახელება და გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი.

II. ამოცანები და საქმიანობის მიზანი

6. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

საქართველოს სსრ მინერალურ-ნედლეული ბაზის, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შესრულების მაღალი ტემპისა და ხარისხის, შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებანი მინერალური ნედლეულის დაზვერილ მარაგზე;

სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;



სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მეცნიერულს პროგნოზირების გაუმჯობესება, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებისა და დაზვერვის სამუშაოების შესრულება საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, მათი ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარებაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამმართველოში შემაჯავალი ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების განხორციელება დადგენილი წესით და ამ ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის, ხელმძღვანელ სამუშაოზე ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების რაციონალურად გამოყენება, მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, ამ სამუშაოთა ღირებულების შემცირება და მათი შესრულების ვადების შეკვეცა;

გეოლოგიურ-სადაზვერვო და სხვა სამუშაოების შესრულების დროს შრომის უსამიშრო პირობების შექმნა, საჭველუწყებო ორგანიზაციების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

7. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო ხელმძღვანელობას გაუწევს მისთვის მინდობილ დარგს უშუალოდ ექსპედიციების, პარტიებისა და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით.

8. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო, რომელიც წამყვანია რესპუბლიკის წიაღის გეოლოგიური შესწავლის დარგში, მონაწილეობს ამ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაგეგმვაში. რასაც რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების საწარმოები და ორგანიზაციები ახორციელებენ, მათთან ერთად სწავლობს, თუ რამდენად უზრუნველყოფილია მრეწველობისა და მშენებლობის დარგები მინერალური ნედლეულის დაზვერილი მარაგითა და წყლის რესურსებით, შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ამ უზრუნველყოფის ამაღლება და შესასრულებელ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება.

9. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად:

ა) უზრუნველყოფს რესპუბლიკის წიაღის გეგმაზომიერ გეოლოგიურ შესწავლას;

ბ) განახორციელებს საქვეუწყებო ორგანიზაციების ძალეებით სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებასა და დაზვერვას, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შესრულების ეფექტიანი მეთოდების შემუშავებასა და დანერგვას, უზრუნველყოფს ამ სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მათი ხარისხის ამაღლების, აგრეთვე დაზვერილი მარაგის სინამდვილის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებას;

საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშავებს მთლიანად რესპუბლიკაში მინერალურ-ნედლეული ბაზისა და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარების ძირითად მიმართულებებს, იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, რომლებსაც საქართველოს გეოლოგიის საწარმოთ სამმართველოს ორგანიზაციები და საწარმოები ასრულებენ, დადგენილი წესით შეათანხმებს ამ მიმართულებებსა და გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელებს სახელმწიფო გეოლოგიურ კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა სწორად შესრულებისადმი, აწარმოებს იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაციას, რასაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ასრულებენ ორგანიზაციები და საწარმოები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

დ) შეამოწმებს საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით რესპუბლიკაში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის პროგნოზული შეფასების დასაბუთებულობას;

ე) აღრიცხავს სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და მარაგს და შეადგენს რესპუბლიკაში სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ყოველწლიურ ბალანსებს, ამასთან გამოიყენებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან დადგენილი წესით მიღებულ მონაცემებს;

ვ) სახელმწიფო კონტროლს გაუწევს მიწისქვეშა წყლების გამოყენებას და მათ დაცვას გამოფიტვისა და გაბინძურებისაგან (გარდა ჰიდრომინერალური რესურსებისა);

ზ) საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილავს სასარგებლო წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა საბადოების წინასწარი დაზვერვის შედეგებს და განსაზღვრავს ამ საბადოების დეტალური დაზვერვის მიზანშეწონილობას; სხვა სამინისტროებსა და უწყებებს გადასცემს დადგენილი წესით სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოებს დასაპროექტებლად და მათ ბაზაზე ახალი საწარმოების ასაშენებლად;

თ) უზრუნველყოფს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა შესრულების დროს წიაღის დაცვის მოთხოვნების შესრულებას;

ი) დაადგენს გეოლოგიურ ფონდში გეოლოგიური მასალების წარდგენისა და ამ მასალების სარგებლობის წესს, რომელიც სავალდებულოა ყველა ორგა-

ნიხაციისა, საწარმოსა და დაწესებულებისათვის, განახორციელებს ამ მასალე-
ბის ცენტრალიზებულ შენახვას;

კ) შეიქმნა და დადგენილი წესით დაამტკიცებს ძირითადი მასალების ხარჯვის ყველა იმ საქვეუწყებო ორგანიზაციისათვის სავალდებულო ნორმატი-
ვებს, რომლებიც გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოებს ასრულებენ: განახორ-
ციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება,
საქგეოლოგიის საწარმოებისა და ორგანიზაციების დაგროვების მაქსიმალურად
გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების
ეფექტიანად გამოყენება;

დადგენილი წესით დააფინანსებს საქგეოლოგიისადმი დაქვემდებარებულ
ორგანიზაციებსა და საწარმოებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათ საფინანსო
საქმიანობას, განახორციელებს კონტროლს საქგეოლოგიის ორგანიზაციებისა
და საწარმოების საფინანსო რეზერვების გამოყენებისადმი;

ლ) დროზე შეიქმნა და საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის დაამტკი-
ცებს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს,
განახორციელებს კონტროლს მათი სისწორისადმი;

მ) დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს
და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის ცენტრალურ
კომიტეტს მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით
დასაჯილდოებლად, აგრეთვე დამოუკიდებლად წაახალისებს წარმოების მოწი-
ნავეებს.

III. ორგანიზაციის სახსრები

10. იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაფინანსების წყაროებს,
რომლებსაც საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო ახორციელებს,
წარმოდგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სახსრები და კაპიტალური
დაბანდების ასიგნებანი.

11. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს აქვს საწესდებო
ფონდი, რომელიც 1971 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 16,6 მილიონ მანეთს.
საწესდებო ფონდის გარდა საქგეოლოგია შექმნის კანონმდებლობით გათვალის-
წინებულ სხვა ფონდებს.

12. დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილე-
ბის დროს საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფლება აქვს
დიიტოვოს თავის განკარგულებაში მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონ-
დის რეზერვი 2 პროცენტამდე.

IV. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა

13. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს სათავეში უდგას
უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავში-
რის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით და რომელიც მოქმედებს ერთ-
მმართველობის უფლებებით.

სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქვეოლოგიის უფროსის წარდგენით.

მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქვეოლოგიის უფროსი.

საქვეოლოგიის აპარატის მუშაეები და დაქვემდებარებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაეები დაინიშნებიან და სამუშაოდან განთავისუფლდებიან დადგენილი წესით.

14. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი შექმნის და გააუქმებს დადგენილი წესით გეოლოგიურ-სადაზვერვო და სამმართველოს საქვეუწყებო სხვა ორგანიზაციებს, იგი პერსონალურად პასუხისმგებელია ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, რომლებიც სამმართველოს აკისრია, დააწესებს თავის მოადგილეებისა და სამმართველოს განყოფილებათა უფროსების პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

15. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი საქვეოლოგიის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე, და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

16. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველო თავის საწარმოო თათბირებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარების ძირითად საკითხებს და საქვეოლოგიის საქმიანობის სხვა საკითხებს.

17. წინადადებათა განსახილველად, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განხორციელებაში ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებისა და დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქვეოლოგიის უფროსი.

18. საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს აპარატის სტრუქტურას, შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებს საქვეოლოგიის უფროსი

ხელულის იმ ფონდისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ასიგნებათა ფარგლებში, რომლებსაც სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო ამტკიცებს.

19. ყველა საბუთს, რომლებიც წარმოადგენენ ფულისა და სხვა ფასეულობათა გაცემისა და მიღების საფუძველს, აგრეთვე ცვლიან სხვა ორგანიზაციებთან საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობას, ხელს მოაწერენ საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი.

35 „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 და 1970 წლის 21 მაისის № 300 დადგენილებაზე გველილებაზე და დამატებაზე შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 მარტის № 126 და 1970 წლის 21 მაისის № 300 დადგენილებების დანართის განაყოფის „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონება 1972 წლისათვის“, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიანი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 21 აპრილი, № 207

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 21 აპრილის № 207
დადგენილების დანართი

ცვლილებანი და დამატებანი

განაყოფში „ჯიშობრივი დარაიონება კულტურების მიხედვით“

შემოდგომის ხორბალი

1. ჯიში ხულუგო მოიხსნას დარაიონებიდან რაჭა-ლეჩხუმის დაბლობის IV ზონაში.

სიმინდი სამარცვლედ

1. ჰიბრიდი დნებროვსკი 503 დარაიონდეს ქვემო ქართლის X სარწყავ და ალაზნის XVI სარწყავ ზონებში.

2. ჰიბრიდი ვირ 338 ბ მოიხსნას დარაიონებიდან ქვემო ქართლის X სარწყავ და ალაზნის XVI სარწყავ ზონებში.

სიმინდი სახილოსედ

1. ჰიბრიდი დნებროვსკი 503 დარაიონდეს ქვემო ქართლის X სარწყავ და ალაზნის XVI სარწყავ ზონებში.

2. ჰიბრიდი ვირ 338 ტ. მოიხსნას დარაიონებიდან ალაზნის XVI სარწყავ ზონაში.

სოია სიმინდიანად სახილოსედ

1. ჯიში მოწინავე 7-ის დარაიონება გავრცელდეს სამხრეთ ოსეთის და ქართლის VIII ურწყავ ზონაში.

სუდანური ბალახი

1. ჯიში მირონოვსკაია 10 დარაიონდეს თრიალეთის მთისწინა XI ურწყავ და შირაქის, კახეთის XV ველოვან ურწყავ ზონაში.

საკვები ბარდა

1. ჯიში საკვები 24 დარაიონდეს ჯავახეთის მთიან VII ზონაში.

ს ა მ ე უ რ ა

1. ჯიში ზირიანოვსკი ადგილობრივის დარაიონება გავრცელდეს სამხრეთ ოსეთის XX მთიან ზონაში.

2. ჯიში ნახტევან 1-ის დარაიონება გავრცელდეს თრიალეთის XII მთიან-ტყიან, დიდი კავკასიონის XIII მთიან-ტყიან და ალაზნის მიღმა XVII ტენიან ზონებში.

თავთეთრი კომბოსტო

1. ჯიში დერბენტის ადგილობრივი გაუმჯობესებულის დარაიონება გავრცელდეს ალაზნის XVI ურწყავ ზონაში.

ჩ ა ი

1. ჯიში ქართული 2-ის დარაიონება გავრცელდეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების და გეგეჭკორის რაიონის მთავორიანი ნაწილის VIII ზონაში.

გრეიპფრუტი

1. ჯიში მსხლისებრი შედღოცის დარაიონება გავრცელდეს ხობის რაიონის IX ზონაში.

2. ჯიში 1642 დარაიონდეს გალის რაიონის XI ზონაში.

გ უ რ მ ა

1. ჯიში ხაიკუმეს დარაიონება გავრცელდეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების და გეგეჭკორის რაიონის მთავორიანი ნაწილის VIII ზონაში.

2. ჯიში ზენდი-მარუს დარაიონება გავრცელდეს წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების და გეგეჭკორის რაიონის მთავორიანი ნაწილის VIII ზონაში.

3. ჯიში ჯიროს (ჩინებული) დარაიონება გავრცელდეს გალის და ოჩამჩირის რაიონების XI ზონაში.

თ ა მ ბ ა ქ ო

1. ჯიში სამსუნი 940 მოიხსნას დარაიონებიდან აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში.

2. ჯიში ტრაბიზონი 1867 მოიხსნას დარაიონებიდან აჭარის ასს რესპუბლიკაში.

3. ჯიში სამსუნი 155 აფხაზეთის ასსრ-ში დასათესად დაშვებულადან გადატანილ იქნეს დარაიონებულად და დარაიონდეს აჭარის ასს რესპუბლიკაში.

4. ჯიში სამსუნი 417 დასათესად დაშვებულადან გადატანილ იქნეს დარაიონებულად და დარაიონდეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

თუთის ხე

1. ჯიში უკრაინის 9 დარაიონდეს დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებისათვის

თუთის აბრეშუმის ქია

1. ჰიბრიდები თბილისური X ივერია და თბილისური ივერია დარაიონდეს საგაზაფხულო სამრეწველო გამოყვებისათვის დასავლეთ საქართველოში — წყალტუბოს ჯიშსაცდელი ნაკვეთის მომსახურების ზონაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჭიბიაშვილი.



36 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ა. ზაქარიაძის ხსოვნის უკვდავმოვის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო არტისტის სერგო ალექსანდრეს ძე ზაქარიაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს ს. ა. ზაქარიაძის სახელი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს.
2. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნოს ს. ზაქარიაძის სახელი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას.
3. დაწესდეს ს. ა. ზაქარიაძის სახელობის სტიპენდია თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 აპრილი, № 211

37 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა მუზნარეობისა და კოლმეურნეობის დაზავის კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის შესახებ

„სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 თებერვლის № 74 დადგენილების შესასრულებლად და იმ მიზნით, რომ მოხდეს ყოველმხრივი ექსპერიმენტული შემოწმება უმნიშვნელოვანესი წინადადებებისა და სამეცნიერო-კვლევითი საშუაოებისა სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების დარგში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სახმშენის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს ზობის რაიონის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ დაბის. გორის რაიონის სოფელ ზეგდულეთის კოლმეურნეობის ცენტრალური კარმიდამოს და ღუშეთის რაიონის მაღალმთიანი სოფლის შატლის კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობა.

ამასთან დაკავშირებით, შეჩერდეს ყოველგვარი მშენებლობა აღნიშნული დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე, მათ შორის ინდივიდუალური მშენებლობაც, რომელიც სახმშენის უსაჩქიოდ ხორციელდება.



2. საპროექტო ინსტიტუტმა „საქსოფლმშენსახპროექტმა“ აწარმოოს ექსპერიმენტულ-საჩვენებელი დასახლებული პუნქტების დაპროექტება იმ ვარაუდით, რომ უკვე 1972 წელს შესაძლებელი გახდეს ორი საცხოვრებელი სახლის და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობის მშენებლობის დაწყება საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ დაბაში და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაწყება სოფელ ზეგდულეთში, ხოლო 1973 წლიდან — დანარჩენი ობიექტების მშენებლობა ამ დასახლებულ პუნქტებში და სოფელ შატილის მშენებლობა.

სახმშენმა მიმდინარე წლის დამლევამდე დაამტკიცოს საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის“ დაბის და სოფელ ზეგდულეთის კოლმეურნეობის ცენტრალური კარმიდამოს სამშენებლო ზონირების სქემები, ხოლო 1972 წელს — აღნიშნული დასახლებული პუნქტების და სოფელ შატილის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტები.

3. საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ და ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა ყოველწლიურად გაითვალისწინონ 1971 — 1975 წლების საპროექტო-საძიებო სამუშაოებისა და კაპიტალურ დახანდებათა გეგმებში სახსრების გამოყოფა სუბტროპიკული მეურნეობა „კოლხეთის“ დაბის დაპროექტებისა და კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობისათვის.

4. რჩევა მიეცეს სოფელ ზეგდულეთის კოლმეურნეობის გამგეობას ყოველწლიურად გაითვალისწინოს იმ სამუშაოთა დაფინანსების გეგმაში, რომლებიც მეურნეობაში სრულდება, ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის ხარჯები.

შეტანილ იქნეს სოფელ ზეგდულეთის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტის შემუშავება იმ საბიუჯეტო საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმაში, რომლებსაც სახმშენი ახორციელებს.

5. სასოფლო დაბების კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის განხორციელება დაეკისროს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს.

სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა ყოველწლიურად გაითვალისწინონ ეს სამუშაოები სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებში.

6. სახმშენმა სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო დაბების დაპროექტებისა და კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის შესახებ.

7. საპროექტო ინსტიტუტმა „საქსოფლმშენსახპროექტმა“ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს 1 პუნქტში აღნიშნული სასოფლო დაბების დაპროექტების დავალებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მათი განაშენიანების კომპლექსური ექსპერიმენტების მიზნებსა და თანამიმდევრობას, ამასთან გამოიყენოს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ახალი ტიპობრივი პროექტები, მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები და დაგეგმარების ყველაზე პროგრესული ხერხები, რომლებიც ითვალისწინებენ სოფლის მოსახლეობის

ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობას.

სახმშენმა დამტკიცოს ეს დავალებანი სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 22 აპრილი, № 212

38 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის შესახებ

„საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა თანდართული ცვლილებანი.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად არის ცნობილი:

„მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955

წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართის 23-ე პუნქტი „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“, დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებასთან ერთად;

პუნქტი 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1552 დადგენილებისა „მშენებლობაში დაგეგმვის, სამეურნეო ანგარიშის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 ოქტომბრის № 586 დადგენილებასთან ერთად;

პუნქტები 4, 5, 7, 8, 9 და 10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1553 დადგენილებისა „საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 13 ოქტომბრის № 1293 განკარგულებასთან ერთად;

პუნქტი 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 სექტემბრის № 978 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო ობიექტების სამშენებლო დაპროექტების მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 ნოემბრის № 718 დადგენილებასთან ერთად, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის სახმშენის მთავარი საპროექტო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის საწარმოო ობიექტების ტიპობრივი პროექტების შემუშავებას;

პუნქტი 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 16 ოქტომბრის № 950 დადგენილებისა „მსუბუქი, კვების, ზორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 დეკემბრის № 1582 განკარგულებასთან ერთად;

ბ) მე-4 პუნქტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ოქტომბრის № 1107 დადგენილებისა „სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ნოემბრის № 737 დადგენილებასთან ერთად, დაემატოს სიტყვები „გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტები და სამუშაო ნახაზები შემუშავებულია მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად და ეს დადასტურებულია პროექტის მთავარი ინჟინრის მიერ პროექტის მასალებში შესაბამისი ჩანაწერით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 22 აპრილი, № 214

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მი-
 ნისტრთა საბჭოს 1971 წლის 22 აპრილის
 № 214 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკა-
 რგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048
 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ტიპობრივი დაპროექტების 1951
 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12
 ივნისის № 716 დადგენილების მე-4 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 იანვრის № 122
 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების მშენებლობისათვის მოედნების
 ამორჩევისა და დამტკიცების წესის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 2 სექტემბრის № 1357
 დადგენილება „ორსტადიანი დაპროექტების დროს გაუთვალისწინებელ და
 აღურიცხავ სამუშაოთა ხარჯების ოდენობის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 მარტის № 244
 განკარგულება.

5. პუნქტი 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 29 მაისის
 № 344 დადგენილებისა „საპროექტო-საძიებო სამუშაოთა 1958 წლის გეგმის
 შესახებ“.

6. „1959—1965 წლებში თბოსაიზოლაციო მასალების წარმოების შესახებ“
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ივნისის № 450 დადგენი-
 ლების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტები „გ“ და „დ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ნოემბრის № 896
 დადგენილება „მასობრივი მშენებლობის ობიექტების საპრეისკურანტო ფასების
 შემუშავების შესახებ“.

8. პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 აპრილის
 № 187 დადგენილებისა „სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურებისა
 და სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლებისა
 და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირების შესახებ“.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მი-
ნისტრთა საბჭოს 1971 წლის 22 აპრილის
№ 214 დადგენილებით

ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048
დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, 1954 წლის 12 თებერვლის
№ 122 დადგენილებაში „საქართველოს სსრ მშენებლობისათვის ტიპობრივი
დაპროექტების 1954 წლის გეგმის შესახებ“:

ა) მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ (გარდა პირველი აბზაცისა) ჩაითვალოს
ძალადაკარგულად:

ბ) მე-8 პუნქტში სიტყვები „შემდეგ ვადებში: საპროექტო დავალებანი —
არა უმეტეს 30 დღისა, ხოლო სამუშაო ნახაზები — არა უმეტეს 45 დღისა
მათი მიღების შემდეგ“ შეიცვალოს სიტყვებით: „არა უმეტეს 45 დღისა მათი
მიღების შემდეგ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 აპრილის № 268
დადგენილებაში „მშენებლობაში საპროექტო საქმის გაუმჯობესების შესახებ“:

ა) პუნქტები 1 (გარდა უკანასკნელი აბზაცისა) და 2 ჩაითვალოს ძალადა-
კარგულად;

ბ) მე-12 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ“) სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის შესაბამისი დარგების გა-
ნვითარებისა და განლაგების სქემების და სხვა მასალების შედგენის სამუშაოე-
ბი — იმ გეგმების მიხედვით, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
ჭო დაამტკიცებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმე-
ბით;

რაიონული დაგეგმვის პროექტების და ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა
და განაშენიანების პროექტების შედგენის სამუშაოები — იმ გეგმების მიხედ-
ვით, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს სსრ
კავშირის სახმშენთან შეთანხმებით“.

39 კოლმეურნეობათა შენობა-ნაგებობების გამოყენებაში არსებული დარღვევების აღკვეთის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობათა გამოყენების საქმეში არის სერიოზული დარღვევები. მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უსასყიდლოდ აქვთ დაკავებული კოლმეურნეობების ბალანსზე რიცხული 20 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების შენობა-ნაგებობანი, რაც ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის წესდებას. განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებს უჭირავთ 10,5 მილიონ მანეთად ღირებული სასკოლო და სხვა შენობები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაწესებულებებს — 2,2 მილიონი მანეთის, კულტურის სამინისტროს დაწესებულებებს — 2,9 მილიონი მანეთის, ცეკავშირის ორგანიზაციებს — 2 მილიონი მანეთის და სხვა ორგანიზაციებს — 1,7 მილიონ მანეთად ღირებული საკოლმეურნეო შენობა-ნაგებობანი.

აღნიშნული შენობების მოვლა-შენახვაზე კოლმეურნეობები ხარჯავენ დიდძალ სახსრებს, რაც დამატებით ტვირთად აწევა მათს ეკონომიკას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ცეკავშირს და სხვა უწყებებს, რომლებიც სარგებლობენ კოლმეურნეობათა შენობა-ნაგებობებით:

უზრუნველყონ კოლმეურნეობების კუთვნილი იმ შენობა-ნაგებობების უმოკლეს ვადაში გამოსყიდვა, რომლებიც მთლიანად აქვთ დაკავებული მათი სისტემის ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, ან საიჯარო ქირის გადახდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

იმ სათავსოებით სარგებლობისათვის, რომლებიც მათ დაკავებული აქვთ კოლმეურნეობათა კუთვნილ შენობებში, გადაუხადონ საიჯარო ქირა კოლმეურნეობებს სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს განიხილონ წევრთა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე) და გადაწყვიტონ საკითხი კოლმეურნეობების ბალანსზე რიცხული სასკოლო შენობების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, კლუბებისა და კულტურის სახლების განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სამინისტროების ორგანოებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

დაევალოთ სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სამინისტროებს მისცენ თავიანთი სისტემის ორგანოებს ერთობლივი განმარტება ამ საკითხზე.

3. დაევალოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გაითვალისწინონ ყოველწლიურად თავის ბიუჯე-



ტებში, საფინანსო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებში თავიანთი სისტემის დაწესებულებათა მიერ დაკავებული საკოლმეურნეო შენობა-ნაგებობათა სარგებლობისათვის კანონით გათვალისწინებული სიჯარო ქირის გადახდა.

ამასთან ერთად უზრუნველყოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 23 მაისის № 927 დადგენილების შესრულება, რომლითაც დავალებული აქვთ რაიადმასკომებს უსასყიდლოდ უზრუნველყონ სათავსოებით კავშირგაბმულობის დაწესებულებანი სოფლად.

4. დავალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი, არ დაუშვან კოლმეურნეობათა შენობა-ნაგებობების სხვა უწყებათა მიერ უსასყიდლოდ გამოყენება და უზრუნველყონ საზოგადოებრივი ქონების დაცვის საკითხში კოლმეურნეობის წესდების განუხრელი დაცვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ძიტიანიშვილი**.

ქ. თბილისი, 1971 წ. 19 აპრილი, № 218

40 რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, მუშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამართლებრივი მუშაობის კულტურის დონის ამაღლებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ზომების განსაძლიერებლად საზოგადოებრიობის მოგილიზაციის დონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა აამაღლეს სამართლებრივი მუშაობის კულტურის დონე და გააუმჯობესეს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა. რამდენადმე ვააქტიურდა აგრეთვე მუშაობა ხელმძღვანელ საბჭოთა და სამეურნეო კადრების იურიდიული ცოდნის ამაღლებისათვის.

ამასთან ერთად, სამართლებრივი მუშაობის განხორციელებაში ჭერ კიდევ მოიპოვება არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მის ძირეულად გაუმჯობესებას.

მთელი რიგი ორგანიზაციები და საწარმოები სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას ეწევიან იმის გაუთვალისწინებლად, რომ იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კანონიერების დაცვასთან.

ხორციისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, საავტომობილო გზების სამინისტროებში და სხვა სამინისტროებსა და უწყებებში ირღვევა სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონები. 1970 წელს მეურნეობის ამ დარგებში გამოვლინებული იყო სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, გაფლანგვის, განიავებისა და გაფუჭების ფაქტები. ყოველივე ეს რამდენადმე განპირობებულია სოციალისტური კანონიერების სუსტი პროპაგანდით და იმ ღონისძიებათა არასაკმარისი განხორციელებით, რომელთა მიზანია დანაშაულობათა, კერძოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების თავიდან აცილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დავალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მასების სამართლებრივი აღზრდა და სამართლებრივი კულტურის ღონის ამღლევა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საბინაო და კომუნალური ორგანოების, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა საქმიანობა უშუალოდ ეხება მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მათ ტერიტორიაზე არსებულმა ყველა ორგანიზაციამ და საწარმომ განუხრელად დაიცვას კანონიერება.

გააქტიურონ დეპუტატების, მილიციის ორგანოების, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების, ადმინისტრაციული და სამეთვალყურეო კომისიების, სახალხო რაზმელების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა დაწესებულებების მუშაობა, ამასთან პირველი რიგის ამოცანად მიიჩნიონ ქმედითი ბრძოლა სხვადასხვა დარღვევების წინააღმდეგ და მოქალაქეთა აღზრდა სოციალისტური კანონიერების მოთხოვნების დაცვის სულისკვეთებით.

უზრუნველყონ, რომ მათ მიერ მიღებული ნორმატიული აქტები ზუსტად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა:

უფრო ფართოდ გამოიყენონ დემოკრატიული პრინციპები მუშაობაში, უშუალო მონაწილეობა მიიღებინონ მშრომელთა მასებს საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, გაშალონ ამა თუ იმ ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა და ბრძოლა ბიუროკრატიზმთან; მოაწყონ მშრომელთა კოლექტივებში კანონის დარღვევაზე შემოტანილი კონკრეტული საჩივრების გარჩევა და მიაწოდონ მათ ინფორმაცია ამ საჩივრების გამო მიღებულ ღონისძიებათა შესახებ.

პერიოდულად მოაწყონ საზოგადოებრივ საწყისებზე სემინარები სამართლებრივი საკითხების შესახებ დაწესებულებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, ამასთან

მონაწილეობა მიაღებინონ ამ სემინარებში კვალიფიციურ პრაქტიკოს იურისტებს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს.

გამუდმებით აუმჯობესონ მასების სამართლებრივი აღზრდის ფორმები იურიდიულ მეცნიერებათა ფართო პროპაგანდის გზით; გააუმჯობესონ ინფორმაციის მიწოდება მისახლეობისათვის მიღებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების, იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეტანილია მოქმედ კანონმდებლობაში. უფრო აქტიურად ჩააბან მშრომელები კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვაში; მიაღწიონ იმას, რომ სამართლის ნორმების დაცვა ყველა მოქალაქის მოთხოვნილებად გადაიქცეს.

3. საბჭოთა კანონების დაცვისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით დაევალოს სამინისტროების, უწყებების, სამმართველო აპარატის ყველა რგოლის ხელმძღვანელებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც მათი ცენტრალური აპარატების, ისე მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებთან შეთანხმებით გაითვალისწინოს 1972-1975 წლების საგამომცემლო გეგმებში და უზრუნველყოს იურიდიული ლიტერატურის: რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების კოდექსებისა და კრებულების, კოდექსების მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარების და სხვა იურიდიული ლიტერატურის გამოშვება საბჭოთა სამართლის სხვადასხვა დარგებში.

5. იუსტიციის სამინისტრომ საზოგადოება „ცოდნის“ მონაწილეობით მოაწყოს საჭირო რაოდენობის მეცნიერულ-პოპულარული ბროშურებისა და ლექციების გამოშვება საბჭოთა კანონმდებლობისა და სამართლებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებზე.

6. იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა უზრუნველყონ კვალიფიციური კადრების მოზიდვა სამართლებრივი პროპაგანდის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ეს მიიზნონ მათ უმნიშვნელოვანეს სამსახურებრივ მოვალეობად და მოაწყონ ამ მიზნით ამ კადრების სისტემატური გამოსვლა პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

7. განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ერთობლივად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საზოგადოებათმცოდნეობის და საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების ღონის ამაღლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისამდე.

8. იუსტიციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა მოაწყონ 1971 წლის მეორე ნახევარში რესპუბლიკური საზოგადოება

„ცოდნის“ მონაწილეობით ხელმძღვანელი საბჭოთა და სამეურნეო კადრების იურიდიული ცოდნის ასამაღლებელი კურსები, განსაზღვრონ მათი კონტინგენტი და 1971 წლის 1 ივლისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებათა ამ საკითხზე.

9. დაეკისროს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეთოდური ხელმძღვანელობა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მოსახლეობისათვის საბჭოთა კანონმდებლობის განმარტების დარგში, აგრეთვე ამ სამუშაოს კოორდინაცია.

მოეწყოს იუსტიციის სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და სოციოლოგიის კათედრის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, ფილოსოფიის ინსტიტუტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მუშაკთა მონაწილეობით რესპუბლიკის მოსახლეობის მართლშეგნების დარგში კონკრეტული სოციალური გამოკვლევების განყოფილება.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა წარუდგინონ იუსტიციის სამინისტროს სათანადო ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

10. დაევალოს იუსტიციის სამინისტროს 1972 წლის 1 თებერვლისათვის მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯაპახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჭიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1971 წ. 22 აპრილი, № 219

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1971 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი 4,25 სააღრიცხვო თაბახი 5,5

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

052360-76187